ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## სააკაშვილი ოდესის აეროპორტის დახურვით იმუქრება



გვ.7

## 14 ივლისიდან

## პაულო კოელიო თერთმეტი წუთი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ხუთშაბათი, 14 ივლისი, 2016 №165 (7091) ფასი: 50 თეთრი

# ვინ გახდება თავდაცვის მინისტრი?







გვ.5

## კახიშვილი, კობალაძე თუ სესიაშვილი

## „ეს იყო „ქართული ოცნების“ განახლების ულიმღამო მცდელობა“

გვ.3



## ვახტანგ რჩეულიშვილი: „მაიას ციხეში ძალადობით ემუქრებიან“



გვ.4

გუკა რჩეულიშვილი ბრალს არ აღიარებს



## გიორგი კვირიკაშვილი: „ჩვენ ვართ თავმდაბლები, მაგრამ ვართ თავდაჯერებულები და იმ რწმენით გამსჭვალული, რომ საქართველო გაიმარჯვებს“

გვ.2



ISSN 1987-9385



## ნიკა გვარამია მზია თოდუას არ ენდობა

გვ.6

## 270-მილიონიანი საკონცერტო დარბაზი — ყველაზე ძვირადღირებული საჩუქარი საქართველოს სახელმწიფოს



გვ.6

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გიორგი კვირიკაშვილი: „ჩვენ ვართ თავმდაბლები, მაგრამ ვართ თავდაჯერებულები და იმ რწმენით გამსჭვალული, რომ საქართველო გაიმარჯვებს“

„ქართული ოცნების“ ახალი წევრები პრემიერ-მინისტრმა და პარტიის თავმჯდომარემ გიორგი კვირიკაშვილმა საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში წარადგინა.

მისი თქმით, ქართულ პოლიტიკას ახალი ენერგია, ახლებური ხედვა სჭირდება.




„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ განახლებული გუნდის შემადგენლობაში თამარ ჩუგოშვილი, გიორგი გახარია, ირაკლი კობახიძე, აკაკი ზოიძე, არჩილ თალაკვაძე, თამარ ხულორდავა, ირინა ფრუიძე, კახა კუჭავა, მამუკა მდინარაძე, მარიამ ჯაში, ნინო გოგუაძე, რომან კაკულია, სოფო კილაძე, სოფო ქაცარავა და სოფო ჯაფარიძე არიან.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– დღეს ქართულ პოლიტიკას ახალი ენერგია, ახლებური ხედვა სჭირდება. დღევანდელი რეალობა ახალ დღის წესრიგს, ახალ მოთხოვნებს გვიყენებს, რომლებსაც ჩვენი პარტია განახლებული გუნდით ხვდება და მზად არის უპასუხოს ყველა გამოწვევას.

დღეს მინდა წარმოგიდგინოთ ის ადამიანები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, დადებით მუხტს შემოიტანენ არა მარტო „ქართულ ოცნებაში“, არამედ ზოგადად ქართულ პოლიტიკაში.

**თამარ ჩუგოშვილი** – მას იცნობს ჩვენი საზოგადოება როგორც გამოცდილ იურისტსა და შეუპოვარ უფლებადამცველს. თამარი გახლავთ ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, კენედის სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლის მაგისტრის ხარისხის მფლობელი, არის მრავალი ნაშრომის ავტორი. 2013-14 წლებში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში. ამავე პერიოდში იყო მთავრობის ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნოს ხელმძღვანელი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მისი დამსახურება და თავდაუზოგავი შრომა, რომელიც მან გასწია თომას ჰამერბერგთან ერთად, და დღეს მისი წყალობით ჩვენ გვაქვს ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპის მოწინავე ქვეყნებს შორისაც კი. დღეს თამარი პირველ ნაბიჯებს დგამს პოლიტიკაში და მინდა, წარმატება ვუსურვო მას.

**გიორგი გახარია** – ის არის ლომონოსოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, აქვს ბიზნესის მართვის მაგისტრისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი. გიორგი არის ფართო განათლების ადამიანი, გამოირჩევა პრინციპულობით, ლიდერის თვისებებით. გიორგი გახლავთ ბიზნესომბუდსმენი და მან ბიზნესის წარმომადგენლებთან მოახერხა სრულიად განსხვავებული, თანამშრომლობაზე ორიენტირებული ურთიერთობების ჩამოყალიბება, ძალიან მნიშვნელოვანია.

**ირაკლი კობახიძე** – ირაკლის უკვე ყველა კარგად იცნობს. ის ჩვენი პარტიის აღმასრულებელი მდივანია. ირაკლის იურიდიული განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიაში. 2006 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია დიუსელდორფის უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციებში ექსპერტად და პროექტების მენეჯერად, ასევე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. ირაკლი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**აკაკი ზოიძე** – გახლავთ კოლუმბიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული საერთაშორისო და სახელმწიფო მართვის მიმართულებით. აქვს საჯარო სამსახურის 7 წლიანი გამოცდილება. მას მონაწილეობა აქვს მიღებული ევროპის და აზიის 15 ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების პროცესში როგორც მსოფლიო ბანკის, გაეროს, ევროგაერთიანების და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების ექსპერტს. ბატონი აკაკი წარმატებულია თავის საქმეში და, დარწმუნებული ვარ, ასეთივე წარმატებული იქნება პოლიტიკაშიც.

**არჩილ თალაკვაძე** – არჩილსაც, ვფიქრობ, არ სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა. არჩილი არის მენეჯმენტის სპეციალისტი, სწავლობდა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში და GIPA-ში. მუშაობდა USAID-ის დემოკრატიული მმართველობის პროგრამაში, შემდგომ, 2 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სამინისტროში, სადაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეფორმებში. ამჟამად გახლავთ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, რასაც წარმატებით ართმევს თავს. არჩილმა გადაწყვიტა, რომ შემოუერთდეს ჩვენს საპარლამენტო გუნდს და უფრო აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკაში. თამარ ხულორდავა – გახლავთ სამართალმცოდნე, ამჟამად არის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე. თამარი წლების განმავლობაში მუშაობდა ევროკავშირის წარმომადგენლობაში კანონის უზენაესობის პროგრამების მენეჯერად. ის იყო ამერიკის იურისტთა ასოციაციის იურისტი. მისი, როგორც იურისტისა და მენეჯერის, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებში საქმიანობის გამოცდილება ნამდვილად წაადგება ჩვენს გუნდს.

**ირინა ფრუიძე** – იგი პროფესიით ფსიქოლოგი და ექიმია. მას ყველა იცნობს როგორც „რა, სად, როდის“ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კაპიტანს (და, დარწმუნებული ვარ, მისი ინტელექტიც და პროფესიაც ერთნაირად გამოგვადგება).

**კახა კუჭავა** – სამართალმცოდნეა, გახლავთ ნოტინგემის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, კორპორაციული სამართლის მაგისტრი, ბოლო 5 წელი მოღვაწეობს კერძო სექტორში სამთო-მოპოვებითი მიმართულებით, მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება 2 მნიშვნელოვანი პროექტი ამ მიმართულებით. ის ბიზნესიდან შემოდის პოლიტიკაში და მინდა წარმატებები ვუსურვო მას ამ ახალ ამპლუაში.

**მამუკა მდინარაძე** – მამუკა გახლავთ სამართლის დოქტორი. მას იცნობენ როგორც წარმატებულ ადვოკატს, იგი დღემდე არის ადვოკატთა ალიანსის თავმჯდომარე და საქართველოს პარაოლიმპიური ფონდის ხელმძღვანელი. მამუკა არის სამართლის ისტორიაში უპრეცედენტო პროექტის „საადვოკატო გამოძიების სამსახური“ ავტორი.

**მარიამ ჯაში** – გახლავთ ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, კენედის სახელობის სამთავრობო სკოლის მაგისტრი სახელმწიფო ადმინისტრაციის საკითხებში, აგრეთვე მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის ხარისხი. მარიამი იყო ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, დაარსების დღიდან წარმატებით ხელმძღვანელობს სოლიდარობის ფონდს, რომელსაც უკვე ბევრი ბავშვის სიცოცხლე აქვს გადარჩენილი.

**ნინო გოგუაძე** – გახლავთ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი. ახალგაზრდობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ნინო უკვე გამოცდილი პოლიტიკოსია. 6 წლის განმავლობაში იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, ამჟამად გახლავთ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -კონსერვატორების“ თავმჯდომარე.

**რომან კაკულია** – მას აქვს დიდი გამოცდილება ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთობის კუთხით, ამჟამად გახლავთ ევროკავშირის პროგრამების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატში. ამ დეპარტამენტის კოორდინაციით თითქმის ყველა სამინისტროში დღეისათვის მიმდინარეობს ევროკავშირის ინსტიტუციონალური განვითარების პროექტები, რომლებიც აძლიერებენ და მხარს უჭერენ ჩვენს სახელმწიფო უწყებებს ევროკავშირთან დაახლოებისათვის და ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

**სოფო კილაძე** – სოფო გახლავთ თავისი საქმის პროფესიონალი, იურისტი. არის ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. მუშაობდა მაქს-პლანკის ინსტიტუტში გერმანიაში და იყო შსს აკადემიის პრორექტორი. სოფო წარმატებული ადამიანია, და ვფიქრობ, რომ პოლიტიკაშიც იტყვის თავის სიტყვას.

**სოფო ქაცარავა** – უცხო ენების სპეციალისტია, იყო ბრიტანეთის საელჩოს პოლიტიკური მდივანი. იყო ამავე საელჩოს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი და პროექტების კოორდინატორი. ასევე საელჩოში სასტიპენდიო-საგანმანათლებლო პროგრამის (Chevening) ხელმძღვანელი. მანამდე მუშაობდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდში (WWF).

**სოფო ჯაფარიძე** – მაგისტრი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, ესექსის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების სამართლებრივი ექსპერტი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ყოფილი მოადგილე, არასამთავრობო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ახალი წევრი რომან კაკულია აცხადებს, რომ მისი პარტიაში გაწევრიანება მყისიერი გადაწყვეტილება არ ყოფილა და გადაწყვეტილებას წინ გარკვეული ანალიზი უძღოდა.

**თამარ ჩუგოშვილი:**

– გუნდში წინააღმდეგობა ან მიუღებლობა ნამდვილად არ მიგრძვნია. მხოლოდ მხარდაჭერა და წახალისება ვიგრძენი, გუნდი არის ერთიანი. დაგვჭირდება მუშაობა, რომ ახალი წევრები პროცესებში აქტიურად ჩავერთოთ. არ მაქვს მოლოდინი, რომ განახლებულ გუნდში იქნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსს შეეწინააღმდეგებიან.

შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნების“ განახლებული გუნდი შემდეგი 4 წლის განმავლობაში წარმატებით ჩაატარებს განათლებისა და ეკონომიკურ რეფორმებს.

**არჩილ თალაკვაძე:**

– დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნების“ განახლებული გუნდი, რომელსაც დღეს შევუერთდი, მოახერხებს, რომ შემდეგი 4 წლის განმავლობაში წარმატებით ჩაატაროს განათლებისა და ეკონომიკური რეფორმები.

ირაკლი კობახიძის თქმით, პარტიის ახალი სახეები აერთიანებენ ყველა იმ თვისებას, რომელიც ქართული პოლიტიკის შემდგომი გაჯანსაღებისთვის მნიშვნელოვანია.

– ჩვენ შევასრულეთ დანაპირები, რაც დავაანონსეთ დიდი ხნის წინ. ჩვენ წარვდექით განახლებული გუნდით, ახალი სახეებით დღეს ამომრჩევლის წინაშე. ეს ადამიანები არიან შერჩეულები ზუსტად იმ კრიტერიუმებით, რომლებზეც ჩვენ გვქონდა საუბარი – ეს არის განათლება, ეს არის გამოცდილება, ეს არის პრინციპულობა. ეს ადამიანები აერთიანებენ ყველა იმ თვისებას, რომელიც არის მნიშვნელოვანი ქართული პოლიტიკის შემდგომი გაჯანსაღებისთვის.

**რომან კაკულია:**

– ამ ანალიზმა ჩემთვის ცხადი გახადა, რომ ეს არის სწორედ ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც უფრო მეტად აქვს იმის მაჩვენებელი, რომ შეძლოს იმ გამოწვევების გამკლავება, რომელიც დღეს ქვეყნის წინაშე დგას. ვფიქრობ, ჩვენ უპრეცედენტოდ მაღალ მხარდაჭერას მოვიპოვებთ, სწორედ იმიტომ, რომ ყველა ძირითად პარამეტრში, რითაც ამომრჩეველმა უნდა შეაფასოს პოლიტიკური ძალა, „ქართულ ოცნებას“ მკაფიოდ გამოკვეთილი წარმატება აქვს ისეთ პარამეტრებში, როგორიცაა ადამიანის უფლებები. ეს არ არის მთავრობა, რომელიც ცდილობს, რომ ადამიანის ძალადობაზე დააფუძნოს მისი მომავალი მმართველობა.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ახალი წევრი აკაკი ზოიძე აცხადებს, რომ გუნდის წევრობა მისი წარმატების გამო გადაწყვიტა.

**აკაკი ზოიძე:**

– მიმაჩნია, რომ ეს ის გუნდია, რომელიც შეძლებს იმის განხორციელებას, რასაც ჰქვია მყარ ფუნდამენტზე ახალი სოციალური და ჯანდაცვის თემების აშენება. მათ გააკეთეს ის, რაც წინა მთავრობებს შეიძლება, უნდოდათ, მაგრამ ვერ გამოუვიდათ.

შექმნეს საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის საფუძვლები და შეიმუშავეს საპენსიო დაზღვევის გრძელვადიანი პროგრამა. მიმაჩნია, რომ ეს სწორედ ის მიმართულებებია, რომელშიც ჩემი გამოცდილებით, ცოდნით და სხვადასხვა ქვეყანაში ანალოგიური რეფორმების განხორციელების გამოცდილებით, შემიძლია, ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო. შეიკრიბა ახალი გუნდი კვირიკაშვილის მეთაურობით, რომელიც ყველაფერი ამის რეალურად განმხორციელებელია.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სიის ახალი წევრი, თამარ ხულორდავა ფიქრობს, რომ არჩევნები „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდება.

**თამარ ხულორდავა:**

– შემოთავაზება პრემიერ-მინისტრისგან მივიღე. ძალიან კმაყოფილი ვარ ახალი გუნდით, რომელიც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო, რამაც პოლიტიკაში მოსვლის ნაბიჯი გადამადგმევინა. გუნდში შემავალი ადამიანების კვალიფიკაციასა და შრომისუნარიანობაში არანაირი ეჭვი არ მეპარება. ჩვენ შევძლებთ, ერთად ბევრი კარგი საქმე ვაკეთოთ. პარტიის შანსებს რაც შეეხება, ოპტიმისტურად ვაფასებ და მგონია, რომ არჩევნები „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდება.

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში საზოგადოებას „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ 15 ახალი წევრი წარუდგინა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ეს იყო „ქართული ოცნების“ განახლების ულიმღამო მცდელობა“

შორენა მარსაგიშვილი

**დიდი ვაი-უშველებლის და სიის გადაშლა-გადახევის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“, როგორც იქნა, ახალი სახეები წარმოადგინა.**

**ახალი სახეების პრეზენტაცია საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა. მას ძველი და ძალიან ძველი ცნობილი სახეები ესწრებოდნენ.**

**„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში 15 ახალი სახე იქნება.**

**ესენი არიან:** გიორგი გახარია (ყოფილი ბიზნესომბუდსმენი); კახა კუჭავა (სამართალმცოდნე); მარიამ ჯაში (საქართველოს სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე); რომან კაკულია (ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი); სოფო კილაძე (შსს-ს აკადემიის ყოფილი პრორექტორი); ირაკლი კობახიძე („ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი); აკაკი ზოიძე (ჯანდაცვის სპეციალისტი); სოფო ქაცარავა (ბრიტანეთის საელჩოს პოლიტიკური მდივანი); სოფო ჯაფარიძე (ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მაგისტრი); თამარ ხულორდავა (სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის მოადგილე); თამარ ჩუგოშვილი (იურისტი, უფლებადამცველი); მამუკა მდინარაძე (ადვოკატთა ალიანსის თავმჯდომარე); ირინა ფრუიძე (ფსიქოლოგი და ექიმი); არჩილ თალაკვაძე (მენეჯმენტის სპეციალისტი) და ნინო გოგუაძე (საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი).

ახალსახეობის სერიოზული შანსები ჰქონდა პოლიტსაბჭოს წევრ დავით კოღუაშვილსაც. პრემიერის ახლობელს საარჩევნო სიის ათეულში მოხვედრაც გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ ერთ-ერთი ინტერვიუში ვანო მერაბიშვილი აქო და ადიდა, რასაც სახელისუფლებო გუნდის დიდი რისხვა მოჰყვა. ჯერ კიდევ მაისში ითქვა, რომ ის ბიძინა ივანიშვილმა შავ სიაში შეიყვანა. „ქართული ოცნება“ კი ამტკიცებს, რომ სიაში ჩასმაზე თავად კოღუაშვილმა განაცხადა უარი.

ამ დროისთვის უცნობია, ეს ადამიანები საარჩევნო სიაში როგორ გადანაწილდებიან. რამდენიმე მათგანი ალბათ მაჟორიტარადაც იყრის კენჭს. ამბობენ, რომ მამუკა მდინარაძე ტყიბული-თერჯოლის მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება. არადა ამ პოსტზე საკუთარ თავს ხედავდა მოქმედი მაჟორიტარი ელისო ჩაფიძე. მას სავარაუდოდ სიაში ჩასვამენ.

მათი ამბავი საბოლოოდ მომავალ კვირაში გაირკვევა. 18 ივლისს „ქართული ოცნება“ იმერეთის რეგიონის მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენას გეგმავს.

ამ დღეს შესაძლოა მაჟორიტარობის კანდიდატის რანგში ვიხილოთ ვიცე-პრემიერი კახა კალაძე. გავრცელებული ინფორმაციით, ის სამტრედიის მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება. ნაძალადევის მაჟორიტარობის კანდიდატობას იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს უწინასწარმეტყველებენ.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით ლორთქიფანიძე ამბობს, რომ ჯერ არავისზე არაფერი არაა გადაწყვეტილი. ამის მიუხედავად, დარწმუნებულია, რომ ხონისა და ვანის მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება.



## რას მოითხოვს ზურაბ ზვიადაური

— ჩემი აქტივობები მაძლევს იმის განცდას რომ მაჟორიტარობის კანდიდატი ვიქნები, — აღნიშნავს ლორთქიფანიძე.

ასეთი განცდა კიდევ რამდენიმე დეპუტატს აქვს, მაგრამ დანამდვილებით ვერავინ ამბობს, იქნებიან თუ არა მაჟორიტარობის კანდიდატები.

გაურკვევლობაა სიის გარშემოც. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებსაც კი უჭირთ იმის დაკონკრეტება, თუ ვინ მოხვდება საოცნებო განაცხადში. თუ გავითვალისწინებთ, რომ მხოლოდ 15 ახალი სახე წარმოადგინეს, გამოდის, რომ დანარჩენები სულ ძველები იქნებიან.

ძველები ამ ეტაპზე რაიმე კომენტარების გაკეთებისგან თავს იკავებენ. პირად საუბარში კი ამბობენ, რომ სიის გამოქვეყნების შემდეგ ალაპარაკდებიან.

სიაში მოხვედრა კონსერვატორ ზვიად ძიძიგურსა და სოცდეკ გია ჟორჟოლიანს გარანტირებული აქვთ. როგორც ამბობენ, ისინი სიის ათეულში, უარეს შემთხვევაში კი ოცეულში მოხვდებიან.

„ქართულ ოცნებასთან“ დიდ მოლაპარაკებებს აწარმოებდა მრეწველი ზურაბ ტყემალაძე. ის ცდილობდა, მათ სიაში თავისი შვილი გიორგი ტყემალაძე ჩაესვა, რომელიც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გახლავთ.

გავრცელებული ინფორმაციით, სიაში აღარ იქნებიან გუგული მაღრაძე, ნანა ყეინიშვილი, სოსო ჯაჭვლიანი, ლუკა კურტანიძე, ლექსო თამაზაშვილი და ნუკრი ქანთარია.

სხვები ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებენ, ნუკრი ქანთარია კი მზადაა, გაგებით მოეკიდოს ამ ყველაფერს.

— ჩემთვის სიაში ყოფნაზე მნიშვნელოვანია, რომ არჩევნები მოვიგოთ, — აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში ქანთარია.

როგორც ამბობენ, საარჩევნო სიაში რამდენიმე მინისტრიც იქნება. დეპუტატ ეკა ბესელიას განცხადებით, ამ ეტაპზე მხოლოდ კახა კალაძის საკითხია დადებითად გადაწყვეტილი.

— დანარჩენებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას პრემიერი მიიღებს, — ამბობს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი კი ვარაუდობს, რომ სიაში არც ერთი მინისტრი არ იქნება.

— მინისტრებიდან არ მგონია ვინმე ვიხილოთ სიაში, ჩვენ გვჭირდება სტაბილური მთავრობა, რომელიც იმუშავებს ქვეყნისთვის. მინისტრების ჩართვა საარჩევნო პროცესში არ მგონია, სწორი იყოს. არ უნდა დადგეს სათუო კაბინეტის არსებობა. მთავარი ამოცანა ქვეყანაა და არა — პირადი პროცედურები. ბევრი არა, მაგრამ სიაში შესაძლოა ერთი-ორი მინისტრი ვიხილოთ, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

„ქართული ოცნების“ ყოფილი პოლიტიკური მდივანი არმაზ ახვლედიანი ჯერ კიდევ პარტიაში ყოფნისას ჩიოდა ბებერ ნიანგებზე. მისი თქმით, ისინი პარტიის განვითარებას აფერხებდნენ.

ახალი სახეების წარდგენას არმაზ ახვლედიანი ტელეეკრანის მეშვეობით ადევნებდა თვალს. მას არც ეს სია მოეწონა და ამ ყველაფერს განახლების ულიმღამო რეტროსპექტივა უწოდა.

თავისი პოზიცია ბებერ ნიანგებზე მონადირემ ფეისბუქის გვერდზე დააფიქსირა.

— „ოცნება“ განაგრძობს ფასადურ ცვლილებებს და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის პოლიტიკას. 13 ივლისს საარჩევნო სიის ნაწილის წარდგენა მაისში პარტიულ ყრილობაზე გაცხადებული მოჩვენებითი განახლების ულიმღამო რეტროსპექტივაა! რაც უნდა სახასიათო სახეები გვიჩვენოს ახლა „ქართულმა ოცნებამ“, ფაქტია, რომ გადაწყვეტილების მიმღებნი ახლებს არაფრის ფასად არ დაუთმობენ მართვის სადავეებს. ეს არც დგას დღის წესრიგში, რადგან ახალ სახეებს, უმთავრესად, ლოიალობის ნიშნით შეარჩევდნენ.

პრემიერ-მინისტრი ამ ყალბი ცვლილებებით ადასტურებს, რომ არც ძალა შესწევს რეალური გარდაქმნის დასაწყებად და არც სურვილი აქვს ამის. ის კვლავაც აწყნარებს რეტროგრადებს და ცდილობს, თვალში ნაცარი შეაყაროს როგორც ჩვენს ხალხს, ისე დაინტერესებულ საერთაშორისო საზოგადოებას.

ეს მეტად სახიფათო პროცესი ცხადყოფს, რომ ნდობადაკარგული „ოცნება“ არჩევნებს უწესო მანიპულაციებით, ადმინისტრაციული რესურსის მაქსიმალური მობილიზებითა და სხვა უკანონო გზებით ჩაატარებს.

ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ გაახსენდა ხალხი და ცდილობს, მდარე, იაფფასიანი საშუალებებით აღიდგინოს კატასტროფულად დავარდნილი რეიტინგი. „ოცნება“ კვლავ მოჯადოებულ, მანკიერ წრეშია და უნდა, რომ ამ წრის კოსმეტიკური ცვლილებით მოიპოვოს ამომრჩევლის ნდობა. საზოგადოება უარს იტყვის ამ მორიგ სიცრუეზე და თავად შეუდგება ჩაკეტილი წრის გარღვევას, — წერს ახვლედიანი.

◆ ◆ ◆

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ სიის მიღმა დარჩენილები სკანდალური განცხადებების გაკეთებით იმუქრებიან. სკანდალური განცხადება, მართალია, არ გაუკეთებია, მაგრამ ახმეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა მშობლიურ პარტიას ერთი აქცია უკვე მოუწყო.

უკვე რამდენიმე თვეა, რაც გადაწყდა, რომ



ზურაბ ზვიადაური ახმეტის მაჟორიტარობის კანდიდატი აღარ იქნება. ეს ამბავი თავად დეპუტატისთვისაც ცნობილი იყო, მაგრამ იმედოვნებდა, რომ ზევით გადაწყვეტილებას შეცვლიდნენ. ის კალაძესთან და თამაზაშვილებთან დაახლოებულ პირად ითვლებოდა და, ეტყობა, მათი იმედი ჰქონდა. იმდენად იყო დარწმუნებული წარდგენაში, რომ წინასაარჩევნო კამპანიაც კი დაიწყო.

ბევრი თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ ახმეტის მაჟორიტარობის კანდიდატად „ქართული ოცნება“ გელა სამხარაულს დააყენებს. ეს უკანასკნელი ამ დროისთვის თელავის მაჟორიტარი დეპუტატია. ეს ამბავი ახმეტის გამგებელ ბექა ბაიდაურს პირადად პრემიერმა ამცნო და მოსთხოვა, რომ გელა სამხარაულის სასარგებლოდ ემუშავა. მანამდე ბაიდაური ზვიადაურის პიარშიკობით იყო დაკავებული. ეს არცაა გასაკვირი — გამგებლის პოსტი მან დეპუტატის დახმარებით მოიპოვა.

ზვიადაურმა ახმეტაში ბევრი ახლობელი დაასაქმა და, როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, მათი დახმარებით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ის კვლავ მაჟორიტარობის კანდიდატია.

ამის გარდა, მისი დავალებით მისმა მომხრეებმა ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყეს. ისინი ითხოვდნენ, რომ მაჟორიტარად კვლავ ზვიადაური დაესახელებინათ, სამხარაულს კი თელაველობას უწუნებდნენ.

ზვიადაურის ფრთა ახმეტაში საპროტესტო აქციების დაწყებასაც აპირებდა. ერთი შეკრება უკვე გამართეს. თუმცა, როგორც „ახალ თაობას“ უთხრეს, გამგებელი და ზვიადაურის მომხრეები პრემიერის სახელით გააფრთხილეს.

დაემორჩილება თუ არა ზვიადაური ამ მოთხოვნას, მალე ვნახავთ. მისი გარემოცვა ამბობს, რომ ასე იოლად არ დანებდებიან.

თუ ზვიადაურს არაფერი გამოუვა, ის შესაძლოა თამაზ მეჭიაურთან წავიდეს. მეჭიაურთან წასვლას გეგმავენ „ოცნების“ მიერ დაწუნებული სხვა დეპუტატებიც.

ამ ნაბიჯის გადასადგმელად მათ ჯერ სია სჭირდებათ, რომლის წარმოდგენასაც „ქართული ოცნება“ არ ჩქარობს.

## მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილის საარჩევნო სია მისი პოლიტიკური პროექტის სრული კრახის ნათელი აღიარებაა“



საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და ოდესის ოლქის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის ახალი სახეების წარდგენასთან დაკავშირებით საკუთარი ფეისბუქის გვერდზე განცხადება გაავრცელა.

სააკაშვილის თქმით, „ქართული ოცნების“ სიის შედგენა სივების მიხედვით მოხდა.

მის განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ არჩევნებზე მარცხის შემდეგ „ქართული ოცნება“, როგორც პოლიტიკური ჯგუფი, გაქრება.

— ივანიშვილის საარჩევნო სია ნათელი აღიარებაა რუსი ოლიგარქის პოლიტიკური პროექტის სრული კრახის, ვინაიდან აშკარად წარმოადგენს არაფრისმთქმელი „ახალი სახეებით“, არსებული სიმახინჯის შენიღბვის უმწეო მცდელობას. ივანიშვილს ეგონა, რომ ჩვენ გვბაძავს და სინამდვილეში გამოუვიდა შევარდნაძისათვის მიბაძვა, რომელმაც თავისი დაღმასვლის პერიოდში სცადა მოქალაქეთა კავშირში ჩვენი რეფორმატორული ჯგუფის დაბალანსება CV-ბით შერჩეული, უცხოეთის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებით, რომლებიც მაშინაც სრული არარაობები აღმოჩნდნენ.

„ოცნების“ ამ ცარიელი სიის შემხედვარე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ არჩევნებში გარდაუვალი მარცხის შემდეგ, ეს პოლიტიკური ჯგუფი გაქრება, როგორც შარშანდელი თოვლი და ვეღარ დააბრკოლებს ქვეყნის წინსვლასა და აღმშენებლობას, — ნათქვამია სააკაშვილის განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

## რამაზ საყვარელიძე: „ოცნების“ ახალ სახეებს ძველებზე უფრო მეტად შეუძლიათ საჯარო დისკუსიებში მონაწილეობა“

„ქართული ოცნების“ ახალ სახეებს ძველებზე უფრო მეტად შეუძლიათ საჯარო გამოსვლებსა და დისკუსიებში მონაწილეობა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ექსპერტმა რამაზ საყვარელიძემ „ქართული ოცნების“ მომავალი საპარლამენტო გუნდის ახალი შემადგენლობის შეფასებისას განუცხადა.



საყვარელიძის შეფასებით, ახალი სახეები ოპტიმისტურ განწყობას ქმნიან, თუმცა მნიშვნელობა ექნება იმასაც, რა ადგილი ექნებათ მათ მთლიან საარჩევნო სიაში.

— ამ ახალ სახეებს ძველებზე უფრო მეტად შეუძლიათ საჯარო გამოსვლა, დისკუსიებში მონაწილეობა, ანუ უფრო მეტად მჭერმეტყველები არიან ვიდრე ძველი სახეები. ძველებში ბევრი ჩუმი დეპუტატი იყო, პოლიტიკას კი უყვარს აქტიურობა. ვვარაუდობ, რომ ეს ახალი სახეები აქტიურები იქნებიან, რადგან ახალგაზრდები არიან, განათლებულები არიან, შესანიშნავი წარსული აქვთ. პრინციპში ოპტიმისტურ განწყობას ქმნის სახეების ეს „პარადი“, ოღონდ იმასაც ექნება მნიშვნელობა, როგორი იქნება მათი ადგილი მთლიან სიაში, — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## დავით ნარმანიას მოადგილეებმა შესაძლოა თანამდებობები დატოვონ

თბილისის მერის, დავით ნარმანიას მოადგილეები ლაშა აბაშიძე და ირაკლი ლექვინაძე, სავარაუდოდ, თანამდებობებს დატოვებენ და საპარლამენტო მანდატისთვის იბრძოლებენ.

ტელეკომპანია რუსთავი 2-თან საუბარში ინფორმაციას ამის შესახებ ირაკლი ლექვინაძე არ ადასტურებს და აცხადებს, რომ ამ თემაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან საუბარი არ ჰქონია.

— არის სხვადასხვა ინფორმაციები. თუმცა, მე პირადად, ამ ინფორმაციას ამ ეტაპზე ვერ დაგიდასტურებთ. არ მქონია ოფიციალური საუბარი არც ერთ გადაწყვეტილების მიმღებ პირთან. ვერც ლაშა აბაშიძესთან დაკავშირებით გეტყვით რაიმეს. არაფერს გამოვრიცხავ, თუმცა, როცა იქნება შემოთავაზება, ამის შემდეგ შემეძლება გითხრათ რაიმე კონკრეტული. ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს მერის ორი მოადგილის პოზიციაზე, ნამდვილად ვერ გეტყვით, — განაცხადა ლექვინაძემ.

გავრცელებული ინფორმაციითვე, შესაძლებელია მერის ორი მოადგილის პოსტი ვაკანტური დარჩეს და ორივე ფუნქცია მერის კიდევ ერთმა მოადგილემ დავით ლილუაშვილმა შეითავსოს.

**ნიუსპრესი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ვახტანგ რჩეულიშვილი: „მაიას ციხეში ძალადობით ემუქრებიან“

ნონა ცაბაძე

**საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ სასამართლომ ცენტრ-პოინტის საქმეზე ბრალდებულებს აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა. სასამართლო დარბაზშივე მოხდა მაია რჩეულიშვილის დაპატიმრება. ადვოკატების შუამდგომლობა გირაოს თაობაზე მოსამართლე რევაზ ნადარაიამ არ გაითვალისწინა.**

მოგვიანებით პროკურატურამ ვახტანგ და მაია რჩეულიშვილების ვაჟი, გუკა რჩეულიშვილიც დააკავა, რომლის აყვანაც მისსავე საცხოვრებელ სახლთან მოხდა. მის დაკავებას წინ უძღოდა ვიდეო რგოლი, რომელიც გუკა რჩეულიშვილმა სოციალური ქსელით გაავრცელა, სადაც ის აცხადებდა, რომ მზად იყო საგამოძიებო უწყებებს ჩაბარებოდა:

– ის, რაც მოხდა დედაჩემთან დაკავშირებით და რაც ხდება ჩვენ გარშემო, ეს პოლიტიკურია. ვის, რა და როგორ რა აწყობს, მაგას ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ რეალურად არ ვიცი, ვფიქრობ მაგაზე.

მე ვიყავი ცენტრ-პოინტის გენერალური დირექტორი და ვფიქრობ, რომ ახლა, ამ სიტუაციაში, მე, რა თქმა უნდა, იქ უნდა მივიდე, უნდა ჩავბარდე და დავამტკიცო ჩემი სიმართლე. ყველა ამ საბუთზე მე მაქვს ხელი მოწერილი.

სალომე ჩარკვიანის დაჭერა ხომ საერთოდ სასაცილოა... საღოლ, დედაჩემი რომ დაიჭირეთ... რა ვიცი... დღეით არ მთავრდება ცხოვრება, რომ იცოდეთ, მაინც... ახლა მე ჩავბარდები, მე ვიყავი გენერალური დირექტორი და უბრალოდ, მოსამართლეს არ ექნება სხვა გზა დარჩენილი იმისათვის, რომ დანარჩენი პირები გამოუშვას. გმადლობთ, მომავალ შეხვედრამდე.

◆ ◆ ◆

გუშინ, 13 ივლისს, გუკა რჩეულიშვილს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს.

როგორც ინტერპრესნიუსს გუკა რჩეულიშვილის ადვოკატმა მარინა ცუცქირიძემ განუცხადა, რჩეულიშვილმა ბრალის დადგენილება ჩაიბარა, თუმცა თავს დამნაშავედ არ ცნობს.

– რაიმე სახის დაზიანებები მას არ აღენიშნება. ბრალს არ ეთანხმება და თავს დამნაშავედ არ ცნობს. უბრალოდ, იმ მოვლენების გამო, რაც გუშინ განვითარდა, რომ მისი დედა მაია რჩეულიშვილი, სალომე ჩარკვიანი და ირაკლი მინდელი დააკავეს, სრულიად უსაფუძვლოდ და უკანონოდ, მან ჩათვალა, რომ მორალურად ისიც მათ გვერდით უნდა იყოს და ჩაბარდა პროკურატურას, – განუცხადა ინტერპრესნიუსს მარინა ცუცქირიძემ.





**გუკა რჩეულიშვილი ბრალს არ აღიარებს**

◆ ◆ ◆

ცენტრ პოინტის დამფუძნებლებს მაია რჩეულიშვილს და რუსუდან კერვალიშვილს გამოძიება კიდევ ერთ ეპიზოდში ედავება. საქმე ეხება ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88-ს“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოძიება რუსუდან კერვალიშვილს და მაია რჩეულიშვილს 11 მილიონზე მეტი ლარის მითვისებას ედავება.

გუშინ აღნიშნულ საქმეზე სასამართლო სხდომა იყო ჩანიშნული, თუმცა რუსუდან კერვალიშვილის გამოუცხადებლობის გამო, მოსამართლემ საქმე 20 ივლისისთვის გადადო.

როგორც კერვალიშვილის ადვოკატი განმარტავს, მაია და გუკა რჩეულიშვილების დაპატიმრების შემდეგ რუსუდან კერვალიშვილი შეუძლოდ გახდა და ამ დრომდე ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

სასამართლო პროცესს ესწრებოდა ბრალდებული მაია რჩეულიშვილი, რომელიც კვლავაც საპყრობილეში იქნა გადაყვანილი. კულუარებში არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა რუსუდან კერვალიშვილის დაპატიმრებაც მოხდეს.

„ახალი თაობა“ **ვახტანგ რჩეულიშვილს** ესაუბრა.

***– ბატონო ვახტანგ, მაიას დაპატიმრების შემდეგ, პროკურატურამ თქვენი ვაჟი, გუკა რჩეულიშვილიც დააკავა. გავრცელებული ინფორმაციით, ის ჩაბარდა სამართალდამცავებს, რასაც პროკურატურაში არ ადასტურებენ. რა მოხდა რეალურად? გუკა ჩაბარდა თუ აიყვანეს?***

– პროკურატურა, როგორც ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, ახლაც ტყუის. გუკამ მე დამირეკა, მითხრა, ჩაბარებას ვაპირებო. გამოიძახა ტელევიზიები სახლში, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი ტელეფონები ისმინება. მე ადვოკატს დავურეკე, ადვოკატმა მითხრა, მივყვებიო. გუკამ ჟურნალისტებისთვის გააკეთა კომენტარი და ამ დროს მივიდა პოლიციაც და გუკა ჩაბარდა. თუმცა მათ გაფორმება უნდათ, თითქოს დააკავეს.

გუკამ ინტერნეტში კიდევ უფრო ადრე გააკეთა განცხადება, ვბარდებიო. აი, ასეთი ტყუილებით უნდა პროკურატურას გაიტანოს თავისი სიმართლე. იქ კიდევ მაიას ძალადობით ემუქრებიან ციხეში, თუმცა არა უშავს, ამასაც გავუძლებთ და მოვაგვარებთ ყველაფერს.

***– რას ნიშნავს თქვენი განცხადება, რომ მაიას ძალადობით ემუქრებიან?***

– ძალადობაში ვგულისხმობ იმას, რომ მიუგზავნეს ვიღაც პატიმრები, რომ ჩვენ ბინა გვაქვს ნაყიდი, თქვენ არ აგვიშენეთ და მსგავსი რაღაცები. ანგარიშსწორება მიდის ოჯახზე ფართო მასშტაბით.

***– ანუ თქვენ ამბობთ, რომ პატიმრების გამოყენებით ხდება მასზე ზეწოლა?***

– დიახ. ახლა ადვოკატები ნახავენ მაიას და ისინი კიდევ უფრო დეტალურ ინფორმაციას მომაწვდიან. მე ამ ინფორმაციებს აუცილებლად გადავამოწმებ.

***– თქვენმა ვაჟმა ჩაბარების გადაწყვეტილება რატომ მიიღო? მაია რომ დააპატიმრეს?***

– რასაკვირველია, ამის შედეგად მიიღო. როგორი საქმეა, დედას რომ დაგიპატიმრებენ.

***– სალომე ჩარკვიანზე რას იტყვით? საუბარია, რომ სრულიად უდანაშაულოა და მისი გამოყენება მოხდა.***

– რასაკვირველია, აბსოლუტურად უდანაშაულოა. სალომეს ხელი არაფერზე მიუწვდებოდა. ის იყო გაყიდვების მენეჯერი, ჩვენი პროექტის სახე. სალომე გამოიყენეს მაიაზე შანტაჟის იარაღად, დააკავეს მხოლოდ ამიტომ. მაიამაც განაცხადა, სალომე აბსოლუტურად უდანაშაულოაო. არანაირი გზა აღარ დატოვეს, ბავშვებიც დააპატიმრეს, სალომე გუკაზე პატარაა. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ცენტრ-პოინტის ქონება ხელში ჩაიგდონ, მიითვისონ არჩევნების წინ და გამოიყენონ თავის საარჩევნო მიზნებისთვის.

***– ანუ იყო ულტიმატუმი, რომ დათმოთ ქონება?***

– რასაკვირველია, ულტიმატუმია ეს, აბა რა არის, ქონებაზე გვითხრეს, რომ სასამართლომ ჩვენ მოგვაკუთვნა და ახლა ცდილობენ, რომ წაგვართვან ისევ. აი, ამიტომ ზის მაია. როგორც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ზუსტად იგივე მოხდა ამ ხელისუფლების დროს.

***– რაში ადანაშაულებთ ხელისუფლებას?***

– ხელისუფლებას არ უნდა, რომ რეაბილიტაცია დაკავშირებული იყოს მაიას სახელთან. მაიას პრაქტიკულად დაამუშავებინეს, დაადებინეს გეგმა. ცენტრ-პოიტში გაწერილია ყველა კაპიკი და ვიცით, რა არის საჭირო დამთავრებისათვის. მხოლოდ და მხოლოდ ის 10 მილიონია საჭირო, რაც მთავრობას ჩვენი ვალი აქვს, ან მოსახლეობას, სულ ერთია, ვინ გადაიხდის.

მთელი ოთხი წელი დაგვაკარგვინეს, ეს მხოლოდ მაგათი ბრალია და უნდათ ახლა ყველაფერი მაიას გადააბრალონ. მინიმალური დაფინანსება რომ მოეცათ, ორი წლის წინ იქნებოდა ჩაბარებული ყველა ჩვენი შენობა. წინასაარჩევნოდ ჩვენი ქონების გამოყენება და მითვისება უნდათ. ბრძოლა მიდის ცენტრ-პოინტზე.

***– რამდენი დაზარალებული გყავთ, რომლებსაც ბინები არ მიუღიათ, ამაზე რას იტყვით?***

– მაგნოლია, რომელზეც დღეს ასე აქტიურად მიდის საუბარი, არის ჩაბარებული. ორი წელია ხალხი ცხოვრობს. მაქინაციები იყოო. სახლი აშენებულია, ჩაბარებულია, შენ ვინ გეკითხება, კერძო ბიზნესი ფულს რაში ხარჯავს?! ვინ ეკითხება პროკურატურას, ამიხსნას ვინმემ? კომპლექსი, სადაც ხალხი ცხოვრობს, ჩაბარებულია, ვისი რა საქმეა, როგორ ააშენეს, ფული სად გადარიცხეს და ასე შემდეგ.

სახლი რომ ჩაბარებულია, როგორ შეიძლება ჩაბარებულ სახლზე კაცი დაზარალებულად ცნო?! ეს არის საქართველოში მთელი სამშენებლო ბიზნესის დამარხვა, ან დაინტერესებული პირის ხელში გადატანა. ამის მსურველი ძალიან ბევრია, ვიცით ჩვენ ამის შესახებ და აი ამიტომაც დასჭირდათ მაიას მოცილება. დღეს ხალხი ყველას ფეხებზე კიდია, მათ ჰყავთ ათკაციანი ჯგუფი, პროვოკატორი ადამიანების, რომელთაგან ზოგი საწყალია და ზოგიც გამომძალველი. ჩამოიყვანეს თავისი ინვესტორი, ვაჭრობა რომ დაგვიწყო და არ დავთანხმდით პირობებზე, მოგვიწყვეს ეს აქციები.



***– სასამართლოზე გამოცხადებული მაია რჩეულიშვილი ელოდა დაპატიმრებას?***

– საფრთხე, რასაკვირველია, იყო ამ ხელისუფლების ხელში, თუმცა, ამის მიუხედავად, ამათგანაც კი არ ველოდით ასეთ სისულელეებს. რა ვქნათ, ამასაც გადავიტანთ.

◆ ◆ ◆

გუშინ ცენტრ-პოინტის საქმეს შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე გამოეხმაურა.

მას ცენტრ პოინტ აჭარის გაყიდვების მენეჯერის, სალომე ჩარკვიანის დაკავებასთან დაკავშირებით დაუსვეს კითხვა.

– ამომწურავი კომენტარი ამასთან დაკავშირებით გაკეთდება. მიმდინარე გამოძიება იქნება დროული, ეფექტური და მხარეებს მიეცემათ შეჯიბრის საშუალება სამართლიანი სასამართლოს პირობებში, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

სალომე ჩარკვიანის გათავისუფლების შუამდგომლობით სასამართლოს რამდენიმე დეპუტატმაც მიმართა.

ცენტრ-პოინტის საქმეზე წინასასამართლო სხდომა 1 სექტემბერს, 12:00 საათზე გაიმართება.

# ვახტანგ ძაბირაძე: „ახალი სახეები „ოცნებას“ ახალ ხმებს ვერ მოუტანს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ თუ „ქართული ოცნება“ სწორად წარმართავს წინასაარჩევნო კამპანიას, გაუჭირდება, მაგრამ შეძლებს დაკარგული ამომრჩევლის დაბრუნებას.

***– ბატონო ვახტანგ, როგორ შეაფასებთ „ქართული ოცნების“ ახალ შემადგენლობას, რომლის პრეზენტაციაც პრემიერმა საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გამართა?***

– „ქართული ოცნება“ ცდილობს, რომ ახალი ძალები ჩართოს და საარჩევნო სია განაახლოს. ეს ბუნებრივი პროცესია. „ქართული ოცნება“, როგორც პარტია, სწორედ ახლა ფორმირდება.

***– რატომ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, ეს რა გზავნილი იყო?***

– საგურამოში ახალი სახეების წარდგენით პრემიერმა მოახდინა ეროვნულისა და ზოგადის შერწყმის ხაზგასმა. მმართველი გუნდი ცდილობს, ამომრჩეველი მიიზიდოს იმ გზავნილით, რომ ის არის ეროვნული იდეის მატარებელი ძალა. ქართველ ამომრჩეველზე ეს დადებითად მოქმედებს.

***– რა შეგიძლიათ გვითხრათ ახალ სახეებზე?***

– ზოგი მათგანი საზოგადოებისთვის ალბათ ცნობილია, ზოგს ნაკლებად იცნობს ხალხი, მაგრამ როდესაც ზოგადად ახალ სახეებზეა საუბარი, აქ მაინც ბალანსის დაცვაა საჭირო. როდესაც ამომრჩეველთან მიდიხარ ახალი სახეებით, ისინი ამომრჩეველს რაღაცას უნდა ეუბნებოდნენ.

***– ამ შემთხვევაში თქვენ ნდობაზე, საქმეში გამოცდილებაზე საუბრობთ?***

– ცხადია, ეს არის მნიშვნელოვანი. მაშინ აქვს ახალ სახეებს ეფექტი, როდესაც ახალი სახეები რაღაცას ეუბნება ამომრჩეველს.



***– აქცენტი კეთდება ახალგაზრდებზე და დასავლეთში განათლება მიღებულებზე.***

– დიახ, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ მე ვსაუბრობ იმაზე, მოუტანს თუ არა ეს სახეები ხმებს „ქართულ ოცნებას“.

***– მოუტანს?***

– არა მგონია, რომ ეს სახეები იყოს ხმების მომტანი. ხმები სხვა სახეებმა უნდა მოიტანონ.

***– რა კონკრეტული მესიჯი ექნება „ქართული ოცნებას“, რომ ამომრჩეველი მიიმხროს, თუნდაც დაკარგული დაიბრუნოს?***

– უმთავრესი ამოცანა დღეს „ქართული ოცნების“ არის ის, რომ გააანალიზოს, რატომ დაკარგა ამომრჩეველი და დასახოს გეგმები, რომ ის დაიბრუნოს, რაც არცთუ მარტივი საქმეა, მაგრამ თუ სწორად დაიგეგმება ყველაფერი, არ არის გამორიცხული, რომ ეს შეძლოს „ქართულმა ოცნებამ“.

***– როგორი მოლოდინები გაქვთ ამ არჩევნების მიმართ? ჩვენ გვახსოვს პრემიერის ოპტიმისტური განცხადება, რომ 100 დეპუტატს შეიყვანს „ქართული ოცნება“ პარლამენტში, ასევე ოპტიმისტური იყო ბიძინა ივანიშვილის განცხადებაც. მმართველი ძალა შეძლებს უმრავლესობის მოპოვებას თუ კოალიციური მთავრობა გარდაუვალია?***

– პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას ვერც ერთი პარტია ვერ შეძლებს. ეს ძალიან რთული იქნება „ქართული ოცნებისთვისაც“, მაგრამ ის აუცილებლად იქნება ლიდერი პარტია, შესაბამისად, მას ექნება შესაძლებლობა, რომ კოალიცია შექმნას და მთავრობა დააკომპლექტოს.


## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 11 ივლისის Nი-374 ბრძანების თანახმად, შეჩერებულ იქნა „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ„ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2016 წლის 16 ივნისის N944/ს ბრძანების მოქმედება მე-4 ობიექტზე. შესაბამისად ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე „რუსთავი„-ს მეტალურგიული ქარხნის მეორადი გადამუშავების წიდის (ტექნოგენური) ნაყარის მოპოვებაზე გამოცხადებულ აუქციონზე (განაცხადი N154DQB416, აუქციონი N154) შეწყვეტილია აუქციონის მიმდინარეობა.

# ვინ გახდება თავდაცვის მინისტრი?

შორენა მარსაგიშვილი







## კახიშვილი, კობალაძე თუ სესიაშვილი

**რამდენიმე ხანში საქართველო თავდაცვის მინისტრის გარეშე დარჩება. თინა ხიდაშელი ამერიკაში ვიზიტის შემდეგ ამ პოსტს დატოვებს და რესპუბლიკელებთან ერთად წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაებმება.**

**ხიდაშელის შემცვლელის ძებნა „ქართულმა ოცნებამ“ ჯერ კიდევ ივნისში დაიწყო. თავიდან ირაკლი სესიაშვილის გვარი გაჟღერდა. ამ უკანასკნელს გამინისტრებას მაშინაც უწინასწარმეტყველებდნენ, ირაკლი ალასანია რომ გადააყენეს პოსტიდან. მერე მინდია ჯანელიძის შემცვლელადაც მოიაზრებდნენ. თუმცა ისევ პარლამენტში დატოვეს. ამჯერადაც ალბათ ასე იქნება, სახელისუფლებო კულუარებში სულ სხვა კანდიდატები განიხილება.**

ივნისის მიწურულს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თავდაცვის მინისტრის პოსტზე კობა კობალაძის კანდიდატურა განიხილებოდა. ამ ინფორმაციას კანცელარიაშიც ადასტურებდნენ და კობალაძის გარემოცვაშიც. თავად კობალაძემ ეს ინფორმაცია ისე მწარედ უარყო, კაცი იფიქრებდა, რომ საბალეტო დასის ხელმძღვანელობას სთავაზობდნენ.

გუშინ, 13 ივლისს, ის ასეთი კატეგორიული აღარ იყო. „ქართული ოცნების“ ახალი სახეების წარდგენაზე მისულმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შეთავაზება თუ იქნება, დაფიქრდება.

– ჭორაობის რეჟიმში ვერ გადავალ. მე წინა ცხოვრებაში და დღემდე ჩემს თავს ქვეყნის სამსახურში ვალდებულად ვთვლი. აქედან გამომდინარე, თუ რაღაც კონკრეტიზაცია და განკარგულება იქნება მიღებული, იმ განკარგულების შესრულებას მე არ ავიცილებ, როგორი საპასუხისმგებლოც არ უნდა იყოს. დანარჩენი მე ვერაფერს ვერ გეტყვით, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კობალაძემ.

მინისტრობის სავარაუდო კანდიდატად მიჩნეული მოქმედ მინისტრს დადებითად ახასიათებს.

– თინა ხიდაშელი მშვენიერი მინისტრია, ყოველ შემთხვევაში, ფიზიკურად მაინც, – აღნიშნა კობალაძემ.

თავდაცვის მინისტრის პოსტზე სასჯელაღსრულების მინისტრ კახა კახიშვილის კანდიდატურაც განიხილება. არადა იყო საუბრები იმის შესახებ, რომ კახიშვილი საარჩევნო სიაში უნდა ჩაესვათ.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე მიიჩნევს, რომ არავისთვის სახარბიელო არ უნდა იყოს ხიდაშელის ჩანაცვლება.

მისი თქმით, თავდაცვის მინისტრის მოკლევადიანი კანდიდატურა, ვინც არ უნდა იყოს, იქნება „ფიშკა“, რომელსაც ჯერ დადებენ, არჩევნების შემდეგ კი გადადებენ.

თევზაძის განცხადებით, ზოგადად თავდაცვის მინისტრის მოკლევადიანი პერიოდებით ცვლა ძალიან ცუდია თავად ამ უწყებისთვის.

– ბოლო წლებში მინისტრებად ინიშნებიან პოლიტიკური ფიგურები, რომლებსაც ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ უწყებაზე, სადაც მიდიან და ვიდრე გაერკვევიან, ამ პერიოდში იწყებენ ცვლილებებს, რათა თავიანთი პოლიტიკური აქტივობა საჯარო გახადონ. ამასობაში უწყებას ცუდ დღეში აგდებენ. სწორედ ასეთი პრაქტიკის გამო, თავდაცვის მინისტრის პოსტი არ ნიშნავს არაფრის გარანტიას იმ პიროვნებისთვის, ვინც ამ თანამდებობას იბარებს. არც მგონია, რომ ნებისმიერი გარანტია რამედ ღირდეს. გაიხსენეთ, ბოლო პერიოდში რამდენი თავდაცვის მინისტრი შეიცვალა, – განაცხადა დავით თევზაძემ.

მისივე თქმით, კარგია, რომ გენერალურ შტაბს ასეთი რამეები არ შეეხო. არც მისი შეცვლა გაუჭირდებოდათ, მაგრამ გენშტაბის უფროსის დანიშვნის ვადებს კანონი არეგულირებს.

– კიდევ კარგი, კანონი არეგულირებს, რომ გენერალური შტაბის უფროსი ვადიანია. გენერალ კაპანაძეს ვადა ნოემბერში ეწურება. რეალურად თუკი პრემიერი ემზადება, რომ მომავალ მთავრობაშიც იყოს პრემიერი, მან სერიოზულად უნდა იფიქროს იმ კანდიდატურაზე, რომელიც შეცვლის გენერალ ვახტანგ კაპანაძეს, – აღნიშნავს ყოფილი მინისტრი.

# „აჭარას არჩევნების შემდეგ ნაციონალური მოძრაობა გააკონტროლებს“

## რა კავშირი აქვს ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარეს ვარშალომიძესთან

შორენა მარსაგიშვილი



ვის დარჩება აჭარა არჩევნების შემდეგ, ვინ აწინაურებს ყოფილ ნაციონალებს რეგიონში, რა შეიცვალა ლევან ვარშალომიძის დაბრუნებით? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „თავისუფალი თაობის“ ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

**ლადო სადღობელაშვილი:**

– აჭარაში ხელისუფლების გადაბარების ღია პროცესი მიმდინარეობს. ყოველთვის ეჭვი მქონდა, რომ აქ რაღაც ხდებოდა, მაგრამ ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი ჭეიშვილი გახლავთ ყოფილი ნაციონალი. ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა ფოტოები, სადაც ის ნაციონალებთან ერთად პოზირებს. ასევე არსებობს ფოტოები, სადაც უკვე „ოცნების“ წარმომადგენლებთან არის გადაღებული. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეს კაცი ტიპიური მედროვეა.

ეს მედროვე ადამიანი ლევან ვარშალომიძის უახლოესი მეგობარიცაა. ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინ დაბრუნდა საქართველოში და ძალიან აქტიურობს. „ქართული ოცნება“ ამის საპირწონედ არაფერს აკეთებს.

***– ამიტომ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების გადაბარების პროცესი მიდის?***

– ამის სათქმელად საკმარისი ფაქტები მაქვს. მაისში ირაკლი ჭეიშვილი იმყოფებოდა კიევში, სადაც თავის მეგობარ ლევან ვარშალომიძეს შეხვდა.

***– ამაში უცნაური რა არის, თავად არ თქვით, მეგობრები არიანო.***

– საქმეც ისაა, რომ შეხვედრა არ ყოფილა მეგობრული, ეს იყო საქმიანი შეხვედრა, სადაც ვარშალომიძემ და ჭეიშვილმა მზაკვრული გეგმა მოიფიქრეს. ამ შეხვედრას კურირებდა კახა მიქელაძე.

***– კახა მიქელაძე ვინ არის?***

– ირაკლი ჭეიშვილის და ლევან ვარშალომიძის ბავშვობის ძმაკაცია. კახა მიქელაძე პლაჟის ფრენბურთის ხელმძღვანელია.

***– მათი გეგმის მზაკვრულობა რაში მდგომარეობს?***

– შეთანხმდნენ, რომ მოხდება ხელისუფლების გადაბარება. გეგმის განხორციელება უკვე დაიწყო. ჭეიშვილის კიევიდან დაბრუნების შემდეგ ძალიან მალე გახდა ცნობილი იმის შესახებ, რომ ვარშალომიძე ბრუნდება. ამის შემდეგ დაიწყო საუბარი არჩილ ხაბაძის გადაყენებაზე. ის ჯერ კიდევ თანამდებობაზე იჯდა, მისი შემცვლელი რომ გამონახეს. აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე გახდება, რომელიც ნაციონალებთან არის დაკავშირებული. არ დაგვავიწყდეს ბათუმის მერი გიორგი ერმაკოვიც, რომელიც ახალაიების მარჯვენა ხელი იყო.

აჭარა ფაქტიურად უკვე ნაციონალების ხელშია და შემოდგომაზე ეს ოფიციალურად გაფორმდება. ამ ყველაფერს ხელს აქტიურად უწყობს ირაკლი ჭეიშვილი, რომელიც იმდენად გათავხედდა, რომ პარლამენტში შესვლაც კი მოისურვა.

***– მაჟორიტარობას აპირებს თუ სიაში ჩასვამენ?***

– რამდენადაც მე ვიცი, მაჟორიტარად აპირებს კენჭისყრას. არც ისაა გამორიცხული, სიაშიც ჩასვან.

***– თუ ნაციონალებთან არის შეკრული, რანაირად ჩასვამენ სიაში?***

– სულ ნაციონალებით არ არის გაძეძგილი „ქართული ოცნება“? ცოტა ხნის წინ შუალედური არჩევნები ჩატარდა, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ კორცხელში მოქმედი ნაციონალი ამირან ლაგვილავა წარადგინა. მთავარია, „კრიშა“ იპოვო და ნაციონალობა პრობლემა არ არის. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბ-ნი ჭეიშვილი არის კალაძის უახლოეს გარემოცვაში, მას თავი იმითაც მოაქვს, რომ მეგობრობს იოსებ გოგაშვილთან.

მოვუწოდებ ხელისუფლებას, არ გაბედოს ირაკლი ჭეიშვილის კანდიდატურის დასახელება ბათუმის მაჟორიტარად. ხალხს მისი დანახვაც კი არ უნდა. ეს ახალგაზრდა ბიზნესმენებსაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის. მისი ნებართვის გარეშე მშენებლობის დაწყება წარმოუდგენელია. ამ მშენებლობების ხარჯზე გაზულუქდა. ხალხი მას ხმას არ მისცემს და გამარჯვება ნაციონალების კანდიდატს დარჩება.

საპარლამენტო არჩევნების პარალელურად აჭარაში უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც ტარდება და ალბათ სიაში სულ ყოფილ ნაციონალებს ჩასვამენ. ამომრჩეველს არჩევანის გაკეთება 2 ნაციონალურ მოძრაობას შორის მოუწევს.

***– აჭარაში რესპუბლიკელები აანონსებენ სერიოზული შედეგის დადებას.***

– ვინ უნდა დადოს სერიოზული შედეგი, ბერძენიშვილებმა? ხალხს მათი გვარის გაგონებაც კი არ უნდა. ამიტომაც ვერ ჩამოდიან ბათუმში. რესპუბლიკელების გამოჩენა არაფერს შეცვლის. აჭარაში ხელისუფლების გადაბარების პროცესია დაწყებული და ამას, ამომრჩევლის გარდა, ვერავინ შეაჩერებს.

# ნინო ბურჯანაძე: „პრეზიდენტს ვეტოს დასადებად ვაჟკაცობა არ ეყო“



პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა თავის თავზე ელემენტარული პასუხისმგებლობის აღება ვერ გაბედა.

მისივე თქმით, კანონი, რომლის მიხედვითაც პარტიებს უფასო სარეკლამო დროის თითქმის 2/3 წაერთვათ, გაყალბებითა და პროცედურების დარღვევით იქნა მიღებული.

– მინდა გამოვხატო ჩემი უკიდურესი აღშფოთება და პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, როგორც, სამწუხაროდ, მოსალოდნელი იყო, ვერ გაბედა თავის თავზე ელემენტარული პასუხისმგებლობის აღება, რომ დაედო ვეტო უსამართლო კანონისათვის და არა მარტო უსამართლო კანონისათვის, არამედ იმ კანონისათვის, რომელიც პირდაპირი გაყალბებითა და პროცედურების დარღვევით იქნა მიღებული. საქმე ეხება კანონმდებლობაში იმ საარჩევნო ცვლილებას, რომლის საფუძველზეც ჩვენ წაგვერთვა უფასო სარეკლამო დროის პრაქტიკულად 2/3. ეს არის ყაჩაღური კანონი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო რესპუბლიკელების, ალასანიას პარტიის და რამდენიმე სხვა პარტიის სასარგებლოდ, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, საქართველოს პრეზიდენტს არ ეყო იმდენი ვაჟკაცობა, რომ დაეცვა ე.წ. „პრორუსული“ პარტიების სრულიად სამართლიანი მოთხოვნა, შეეშინდა, რომ მისი დასავლელი პარტნიორები, ამერიკელი პარტნიორები არ გაენაწყენებინა.

– სამწუხარო რეალობაა დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. სამართალი არის კვლავ უსამართლო, ორმაგი სტანდარტები მოქმედებს, მაგრამ ამის მიუხედავად, რაც არ უნდა გააკეთოს „ქართულმა ოცნებამ“, პრეზიდენტმა, მათ უკან მდგომმა ძალებმა, ჩვენ ვიცით, რომ გვაქვს მოსახლეობის ძალიან სერიოზული მხარდაჭერა. თუნდაც იმ შესაძლებლობებით, რასაც მიზერულად გვიტოვებს „ქართული ოცნება“ და გვართმევს იმას, რასაც ხალხის არჩევანის შედეგად ვიღებდით, ჩვენ აუცილებლად მოვიპოვებთ მოსახლეობის ძალიან სერიოზულ მხარდაჭერას და სოლიდურად ვიქნებით წარმოდგენილი პარლამენტში, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ვახტანგ ხმალაძის მიერ კანონის გაყალბებით მიღებულ კანონს „დემოკრატიული მოძრაობა“ გააპროტესტებს საკონსტიტუციო სასამართლოში და იმედს გამოთქვამს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მაინც მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას და არ შეუშინდება „არაპოპულარული“ გადაწყვეტილების მიღებას.

ნიუსპრესი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# 270-მილიონიანი საკონცერტო დარბაზი — ყველაზე ძვირადღირებული საჩუქარი საქართველოს სახელმწიფოს



**ერთი კვირაა ფეისბუკში ტრიალებს სააკაშვილის 2010 წლის ვიდეო, რომელშიც მაშინდელი პრეზიდენტი თაფლად იღვრება მომავალი დარბაზის მშენებლობის შეფასებისას. ამის მიუხედავად, ერთი კვირაა ნაციონალების ძველი და ახალი სახეები აკრიტიკებენ Black Sea Arena-ს, როგორც ივანიშვილის მიერ სახელმწიფოსთვის შეჩეჩებულ წამგებიან ობიექტს.**

ოზურგეთის სოფელ ნატანებში აშენებული საკონცერტო დარბაზი Black Sea Arena ფონდმა „ქართუმ" და ასოციაცია „ატუ"-მ ააშენეს. პროექტის ღირებულებამ 270 მილიონი ლარს გადააჭარბა. Black Sea Arena უნიკალურია როგორც პროექტირებით, ასევე მშენებლობის ხარისხით და აღჭურვილობით. უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო, განათების და ხმის სისტემებითblack Sea Arena-ს კონკურენციას ვერ გაუწევს ახლო სამეზობლოს ვერც ერთი საკონცერტო დარბაზი, რაც ობიექტს აძლევს საშუალებას მიიზიდოს უმაღლესი დონის შემსრულებლებიც და სხვადასხვა ქვეყნიდან ამ მომღერლების სანახავად ჩამოსული სტუდენტებიც. ამ ყველაფერს ნაციონალური მოძრაობა თავადაც აღიარებს, თუმცა დარბაზის დისკრედიტაციას მაინც ცდილობს სხვადასხვა აბსურდული ბრალდებებით. რომელთაგან უმთავრესია ორი – დარბაზის შენახვა სახელმწიფოს ძვირი დაუჯდებაო და ობიექტს კლიენტი არ ეყოლება იმიტომ, რომ ცუდ ადგილას მდებარეობსო.



დარბაზის შენახვის სიძვირეზე საუბარი ცოტა ნაადრევია, რადგან ობიექტი სულ ახლახან დასრულდა და ჯერ არავინ იცის, თუ რა დაჯდება მისი შენახვა კონცერტიდან კონცერტამდე. თანხები, რომლებიც წინა თვეებში იხარჯებოდა Black Sea Arena-ს კომუნალურ ხარჯებზე (დაახლ. 25000 ლარი თვეში) იქნება ბევრად ნაკლები, რადგან ელექტროენერგია არ დაიხარჯება სხვადასხვა სამუშაოებზე. განსასაზღვრი იქნება, რამდენი ადამიანი მოემსახურება ობიექტს და დასათვლელი იქნება მათი ხელფასები, თუმცა ამის მიუხედავად დარბაზი მაინც მოგებას მოიტანს. პირველ რიგში იმიტომ, რომ დღეს საქართველოში არსებობს დიდი მოთხოვნილება საკონცერტო დარბაზებზე. გარდა ამისა, Black Sea Arena-ს 2016 წლის პროგრამა მთლიანად დაფინანსებულია ფონდი „ქართუს" მიერ, რაც ასევე საჩუქრად გადაეცა სახელმწიფოს, შესაბამისად 2016 წლის სეზონზე დარბაზი იმუშავებს მხოლოდ მოგებაზე. რაც შეეხება არასეზონურ პერიოდს მომავალი წლის გაზაფხულამდე, Black Sea Arena-ს შეეძლება მისი უნიკალური აპარატურის გაქირავება დაინტერესებულ ჯგუფებზე.

მომავალი წლიდან Black Sea Arena შეძლებს არა მხოლოდ საერთაშორისო და ადგილობრივი დონის შემსრულებლების მოწვევას, არამედ დარბაზის გაქირავებას სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებებისთვის, რაც დამატებით შემოსავალს მოუტანს ობიექტს.

სოფელი ნატანები, სადაც მდებარეობს Black Sea Arena, არათუ წამგებიანია, არამედ წარმოადგენს უნიკალურ მდებარეობას ტურიზმის განვითარებისთვის. დარბაზი მდებარეობს სულ რამდენიმე კილომეტრში როგორც ქობულეთიდან, ასევე დაბა ურეკიდან. იმის გათვალისწინებით, რომ Black Sea Arena-ს დარბაზი ულტრათანამედროვე ევროპული დონის ობიექტია, მას არ ეყოლება ალტერნატივა მაღალი დონის მომღერლების მიღებისას, რაც ავტომატურად მიიზიდავს ქართველ და უცხოურ სტუმრებს. რასაკვირველია, რამდენიმე წელიწადში ბიზნესი თავად იქნება დაინტერესებული ტურისტებისთვის მიმზიდველი ობიექტის სიახლოვეს განახორციელონ ინვესტიციები სასტუმროებში, სავაჭრო ცენტრებსა და გასართობ ატრაქციონებში, რაც ამ რეგიონს ახლო მომავალში ახალ, თანამედროვე კურორტულ ზონად აქცევს. 270 მილიონი ლარი იმდენად დიდი ინვესტიციაა, რომ გარდაუვალია სახელმწიფომ მოგება არ ნახოს მისი ფლობით, მით უმეტეს, რომ უმაღლესი დონის ტურიზმის სფეროსთვის ამგვარი ფუფუნების შესაძლებლობა საქართველოს ბიუჯეტს არ ჰქონდა. დღეს სახელმწიფოს გააჩნია რეგიონში საუკეთესო საკონცერტო დარბაზიც და უდიდესი შესაძლებლობაც, სერიოზულ ტურისტულ ცენტრად აქციოს საქართველოს შავი ზღვის სანაპირო, მოეწონება თუ არა ეს პერსპექტივა ნაციონალურ მოძრაობას.

# ნიკა გვარამია მზია თოდუას არ ენდობა



გუშინ, 13 ივლისს, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ ბრიფინგზე ტელეკომპანიის საქმეზე ისაუბრა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს მიმართა.

გვარამიამ სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების მიღებისკენ მოუწოდა.

– ჩვენ გუშინ ფოსტის მეშვეობით ჩავაბარეთ საკასაციო საჩივარი, სრული რწმენით იმისა, რომ ორი ინსტანციის გადაწყვეტილება არის უკანონო, დაუსაბუთებელი და არაფერი აქვს საერთო სამართლიან სასამართლოსთან, უზენაეს სასამართლოს მოვუწოდებთ, ნუ გახდება დაკვეთის შემსრულებელი, გადაარჩინოს დემოკრატია, გადაარჩინოს მართლმსაჯულების რეპუტაცია, რომელიც მიწასთან გაასწორა პირველმა ორმა ინსტანციამ, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისი თქმით, უზენაესის მოსამართლეთა გადაწყვეტილება შეიძლება დრამატულად გადამწყვეტი აღმოჩნდეს ამ საქმისთვის.

– ქალბატონო მზია თოდუა, ჩვენ არ გენდობით, თქვენ იყავით ქართუს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ნუ განიხილავთ ამ საქმეს და აიცილეთ, – განაცხადა რუსთავი 2-ის ხელმძღვანელმა.

მან აღნიშნა, რომ მზია თოდუა პალატის თავმჯდომარეა.

– ჩვენი ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილის პარტიისთვის ორი შეწირულობა გაქვთ გაკეთებული – ჯამში 60.000 ლარის ოდენობით. ამიტომ, ნუ განიხილავთ ამ საქმეს, ჩვენ არ გენდობით თქვენ! კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ჩემს პატივისცემას თქვენდამი, მაგრამ გიცხადებთ უნდობლობას, – განაცხადა ბ-მა გვარამიამ.

# დავით ლორთქიფანიძე: „კახა კალაძე, სოზარ სუბარი და თეა წულუკიანი სავარაუდოდ, „ქართული ოცნების" საარჩევნო სიაში იქნებიან"



კახა კალაძე, სოზარ სუბარი და თეა წულუკიანი სავარაუდოდ, „ქართული ოცნების" საარჩევნო სიაში იქნებიან, – ამის შესახებ „ქართული ოცნების" დეპუტატმა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დავით ლორთქიფანიძემ ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, მიმდინარეობს შიდა კონსულტაციები.

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ჟურნალისტებს განუცხადა, მიმდინარეობს კონსულტაციები და სწორედ ამ კონსულტაციების შემდეგ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებაც.

ლორთქიფანიძის თქმით, პირადად მისი კანდიდატურა ვანის და ხონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატობაზე განიხილება და გადაწყვეტილება საბოლოოდ იქნება კვლევების და დატესტვის შემდეგ მიღებული.

**ინტერპრესნიუსი**

# თბილისის ზღვაში მყვინთავებმა მოზარდის ცხედარი იპოვეს



თბილისის ზღვაში მყვინთავებმა დაკარგული მოზარდის ცხედარი იპოვეს. როგორც „ინტერპრესნიუსს" საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განუცხადეს, მოზარდის გაუჩინარების შესახებ შეტყობინება მათთან 12 ივლისს, 16:00 საათისთვის შევიდა. მოზარდს მყვინთავების შვიდკაციანი ჯგუფი ეძებდა.

არსებული ინფორმაციით, 15 წლამდე ბიჭი თბილისის ზღვაზე საბანაოდ მეგობართან ერთად იმყოფებოდა.

**ინტერპრესნიუსი**

# „ვარშავის სამიტით მოიგეს სამხედრო მრეწველებმა და წააგეს უკრაინელებმა, ქართველებმა და გერმანელებმაც"

ნატოს სამიტებზე ყოველთვის არიან „მოგებული" და „წაგებული" ქვეყნები". ამ მხრივ გამონაკლისი არც ამასწინანდელი ვარშავის სამიტი არ ყოფილა, – წერს ამერიკულ გამოცემა „Foreign Policy"-ში ევროპაში ნატოს ჯარების ყოფილი სარდალი ჯეიმს სტავრიდისი, რომელიც ამჟამად აშშ-ის ტაფსტის უნივერსიტეტის სამართლისა და დიპლომატიის ფლეტჩერის სკოლაში დეკანად მუშაობს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას:

ავტორის აზრით, მთლიანობაში სამიტის შედეგებით უკმაყოფილონი დარჩნენ ისინიც, ვისაც ნატოს მკვეთრი გააქტიურება სურთ და ისინიც, ვინც ამ გააქტიურების მოწინააღმდეგეები არიან, მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი. ჯეიმს სტავრიდისი მიიჩნევს, რომ ყველაზე მეტად მოგებულები დარჩნენ ნატოს აღმოსავლეთევროპელი წევრები, რომლებიც ალიანსს უსაფრთხოების არასაკმარისი უზრუნველყოფის გამო აკრიტიკებდნენ:

– ამიერიდან ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვასა და პოლონეთში მუდმივად იქნება განლაგებული თითო მრავალეროვნული სრულფასოვანი ბატალიონი ათასი სამხედრო მოსამსახურით... ეს, რა თქმა უნდა, მაინც არაა საკმარისი რუსეთის სავარაუდო სრულმასშტაბიანი შეტევის მოსაგერიებლად, მაგრამ მოსკოვის „შეკავების" პოტენციალს მეტ-ნაკლებად მაინც დამატებით სიმტკიცეს შესძენს, – წერს ნატოს ჯარების ყოფილი სარდალი.



ჯეიმს სტავრიდისის აზრით, მოგებული დარჩა ბალკანური ჩერნოგორია, რომელიც თავისი მდგომარეობით ნატოში მაინცდამაინც დიდ სამხედრო როლს ვერ შეასრულებს, თუმცა მისი მიღება პოლიტიკური სიგნალია იმისა, რომ ნატო „ღია კარის" პოლიტიკის ერთგულია. მოგებული დარჩა ავღანეთი, სადაც თვალსმისაწვდომ მომავალში ნატოს ჯარები დარჩებიან. შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნები ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურების დაფინანსებას კვლავ გააგრძელებენ. ვარშავის სამიტი მომგებიანი აღმოჩნდა ნატოს წევრი ქვეყნების და საერთოდ, დასავლური სამხედრო მრეწველობისათვის: ალიანსი დათანხმდა 2020 წლისათვის თავდაცვის ხარჯები, თავის მთლიან შიდა პროდუქტში, 2%-მდე გაადიდოს.

ახლა გადავხედოთ „წაგებულებს":

– უპირველესად, „წაგებულების" სიაში პირველ ნომრად რუსეთი და მისი პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი უნდა მივიჩნიოთ", – აღნიშნავს ავტორი. „რადგანაც კრემლის ოცნებაა ნატო დასუსტებული ან დაშლილი იხილოს, ალიანსის წევრების მიერ ვარშავაში გამოჩენილი ურყევი ერთიანობა ვლადიმირ პუტინის წარუმატებლობაა. კიდევ უფრო უარესია რუსეთისათვის ის ფაქტი, რომ ნატომ თავისი ჯარები რუსეთის საზღვრების ახლოს განალაგა. ვლადიმირ პუტინს ამის ახსნა რუსი ელექტორატისათვის გაუჭირდება. და ბოლოს, ნატოს ქვეყნების მიერ სამხედრო სფეროს ხარჯების პოტენციური მატება იმას ნიშნავს, რომ რუსეთსაც მოუწევს ხარჯების გაზრდა, რაც მის სუსტ ეკონომიკას, დასავლური სანქციების მოქმედების გათვალისწინებით, ძალიან დიდ ტვირთად დააწვება, თანაც იმ დროს, როცა ნავთობ-გაზის ფასები სტაბილურად დაბალია, – ნათქვამია სტატიაში.

ჯეიმს სტავრიდისი „წაგებულად" მიიჩნევს საქართველოს და უკრაინას, რომლებთაც, როგორც ცნობილია, ნატოში გაწევრიანება სურთ. „ორივე ქვეყანაში რუსეთის ფედერაციის ჯარები შეიჭრნენ (2008 წელს საქართველოში, 2014-ში კი უკრაინაში). ამჟამად რუსეთს კვლავ ოკუპირებული აქვს მათი მნიშვნელოვანი ტერიტორიები: უკრაინის კუთვნილი ყირიმი და დონბასი, საქართველოსი კი – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. თუ გავითვალისწინებთ უკრაინის და საქართველოს დავებს რუსეთთან, მაშინ ამ ქვეყნების სრულფასოვანი გაწევრიანება ნატოში ძალიან პრობლემატური და შორეულ პერსპექტივას წარმოადგენს. ვარშავის სამიტს კიევისა და თბილისისათვის მათი მიზნების განხორციელების საკითხში რაიმე იმედები არ მიუცია. მართალია, ალიანსმა „ღია კარის" პოლიტიკის გაგრძელებაზე განაცხადა და ვალდებულება აიღო ამ ქვეყნებთან სამხედრო თანამშრომლობა გააღრმავოს, მაგრამ, ამის მიუხედავად, საქართველოსა და უკრაინისათვის ნატოში გაწევრიანების იმედები მაინც ძალზე სუსტი რჩება".

წააგო „ისლამურმა სახელმწიფომ", რადგანაც „დაიშ"-ის წინააღმდეგ ნატო „ავაქსის" ტიპის მეტი თვითმფრინავების გამოყენებას გეგმავს, უფრო აქტიურად გააგრძელებს ერაყის უსაფრთხოების ძალების განმტკიცებას და ა.შ. „ეს ყველაფერი „ისლამური სახელმწიფოსათვის" არასასიამოვნოა ამბავია", – წერს ავტორი.

და ბოლოს, ჯეიმს სტავრიდისის აზრით, წააგო გერმანიამ:

– გერმანელების 80% მხარს უჭერს რუსეთთან კავშირების გაუმჯობესებას, ბევრი გერმანელი პოლიტიკოსი წინააღმდეგია, რომ ნატოს სამხედრო ქვედანაყოფები რუსეთის საზღვრებთან ახლოს უნდა განლაგდეს, – აღნიშნავს ავტორი. მისი აზრით, გერმანია უკმაყოფილოა ნატოს კურსითა და საერთოდ ალიანსის პოლიტიკით, მაგრამ იძულებულია სოლიდარობა გამოხატოს].

**ნიუსპრესი**

# სააკაშვილი ოდესის აეროპორტის დახურვით იმუქრება

## რა გეგმები აქვს ნაცმოძრაობას აჭარაში

მარიამ მჭედლიშვილი

**ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაცია იმაზე, რომ ნაცმოძრაობის არჩევნების შემდგომი გეგმები დასავლეთ საქართველოს უკავშირდება. საუბარია არა მარტო იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობა აქტიურად მონაწილეობს აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, რომელიც საპარლამენტო არჩევნების დღეს იმართება, არამედ, საქართველოს გახლეჩვის სახიფათო გეგმებზე.**

მართალია, სააკაშვილთან დაახლოებულმა დეპუტატმა ჩუმაკმა ამას წინათ განაცხადა, რომ ოდესის გუბერნატორი საქართველოში დაბრუნებას არ გეგმავს, მაგრამ ეს სიტყვები ეწინააღმდეგება თავად სააკაშვილის მრავალგზის გაკეთებულ განცხადებებს შემოდგომაზე საქართველოში ჩამოსვლის თაობაზე. ცნობილია ისიც, რომ ნაციონალური მოძრაობის აქაურ ლიდერებს სააკაშვილთან მუდმივი კონტაქტი აქვთ და ოდესიდან დავალებებს იღებენ.

არსებობს ინფორმაცია იმაზე, რომ ლევან ვარშალომიძისა და სანდრა რულოვსის ტრიუმფალური გამოჩენა აჭარაში მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობით და საარჩევნო კამპანიით არ შემოიფარგლება. თბილისში პოსტსაარჩევნო პერიოდისთვის გათვლილი გეგმის გარდა, არის სხვა ანტისახელმწიფოებრივი ჩანაფიქრიც. ამაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ მომხრეებმა აჭარასა და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში.

ყოფილი პრეზიდენტი ისევ უკრაინის ამბებითაა დაკავებული და საჯაროდ სხვა საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. მისი ხმაურიანი განცხადება ამჯერად ოდესის აეროპორტს უკავშირდება. იგი არ გამორიცხავს აეროპორტის დახურვას. სააკაშვილის თქმით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ უკრაინის ინფრასტრუქტურის სამინისტრო არ დაიწყებს ამ აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის რემონტს ან მშენებლობას.

ოდესის გუბერნატორმა აღნიშნა, რომ ამ საქმეში პრემიერ გროისმანის მხარდაჭერის იმედი აქვს.



ოდესის გუბერნატორი სხვა სატრანსპორტო პრობლემებსაც ხმაურიანად ჭრის. მაგალითად, იმის გამო, რომ გაჭიანურდა ოდესა-რენის ტრასის რემონტი, სააკაშვილმა ამ ტრასაზე გაშალა კარავი, კარავში მოიწყო კაბინეტი და ასე ცდილობდა ყურადღების მიქცევას ამ საკითხის მიმართ. სააკაშვილი უკმაყოფილო იყო დაფინანსებით, რომელიც მთავრობამ გამოყო ამ 295-კილომეტრიანი გზის შესაკეთებლად. ეს ტრასა 49 ხიდსა და 5 პორტს აერთიანებს.

კარავში სააკაშვილმა რემონტისათვის 725 მილიონი გრივნა მოაგროვა. მისივე შეფასებით, ეს თანხა საკმარისი არ არის.

კიეველმა სამართალდამცავებმა სააკაშვილს დაუბრუნეს რამდენიმე დღის წინ გატაცებული ჯიპი. ეს მანქანა გამტაცებლებმა კიევში მიატოვეს. სამართალდამცავების ცნობით, 6-მილიონგრივნიანი ჯიპით მიხეილ სააკაშვილის გარდა, მისი ძმა დავითიც სარგებლობდა. ჯიპი დაცვის სამსახურზეა გაფორმებული.

ოდესის ოლქის ადმინისტრაციამ გატაცების შემდეგ განაცხადა, რომ სააკაშვილს 6-მილიონიანი დაჯავშნული ტოიოტა საერთოდ არ ჰყავს.

# ლევან კიკნაძე: „აფხაზებმა უნდა იცოდნენ, რომ ოკუპანტები კი არა, აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობა ვართ“

გულიკო ბალაძე

**ბოლო პერიოდში აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს „ახალ თაობასთან“ აფხაზეთის უშიშროების სამსახურის ყოფილი უფროსი ლევან კიკნაძე აფასებს.**

***– ბატონო ლევან, როგორ შეაფასებდით იმ მოვლენებს, რაც ბოლო პერიოდში სოხუმში ვითარდებოდა. მოგეხსენებათ, ე.წ. რეფერენდუმი ე.წ. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების გამართვის თაობაზე, ჩავარდა.***

– ასეთი პროცესები ყოველ ორ წელიწადში იმართება, რადგან არსებული დე ფაქტო ხელისუფლება ვერ ასრულებს იმ დაპირებას, რის ტალღაზეც ის მოდის და რა დაპირებებსაც ის იძლევა. არის კიდევ სოციალური ჯგუფები, რომლებსაც უნდათ ხელისუფლებაში მოსვლა. მათაც უნდათ ისეთი კომფორტული პირობები, როგორიც აქვთ დღევანდელ ხელისუფლებაში მყოფ ჩინოვნიკებს. ამ ყველაფრის ერთობლიობა განაპირობებს იმ ვითარებას, რაც შექმნილია აფხაზეთში.

***– შეპირებები ხომ ძირითადად ასევე რუსეთის დაპირებებიდან გამომდინარეა? აფხაზეთის ხელისუფლებაში ხომ რუსეთის მხარდაჭერით მოდიან. რუსეთი ხომ მათ ეკონომიკური პროგრამების განხორციელებას ჰპირდება? ასეთი დაპირებები რუსეთზე დაყრდნობით ფუჭია?***

– აფხაზი ლიდერები შეპირებებს, რა თქმა უნდა, რუსეთის დახმარების იმედად გასცემენ. ამას პლუს ცდილობენ, ელექტორატს რაც შეიძლება მეტად მოაწონონ თავი, რომ ელექტორატმა არჩევანი მათზე გააკეთონ. გადამწყვეტი რუსეთის ფაქტორია.

***– რუსეთის ფაქტორიდან გამომდინარე, აფხაზეთი მუდმივი სტაგნაციის პირობებში ხომ არ იქნება?***

– ხომ ხედავთ, რამდენ ხანს გრძელდება ეს პროცესი. ყოველი პერიოდი (წინასაარჩევნო იქნება თუ არჩევნებშორის პერიოდი) თითქმის



ერთმანეთს ჰგავს. რეფერენდუმში ასეთი შედეგიც იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობაც ისეთ მდგომარეობაშია, ახალს არაფერს მოელის ყოველი ხელისუფლებიდან.

***– მიზეზი ისიც ხომ არ იყო, რომ ხაჯიმბას საპირისპიროდ გამოკვეთილი ახალი ლიდერი არ ჩანდა. თუ მე ვცდები?***

– პრინციპში ასეც შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ გამოკვეთილი ლიდერი მართლა არ იყო. კულუარულად გაიჟღერა და იქ გამოჩნდნენ შამბა და ჯერგენია.

***– ანქვაბი?***

– ანქვაბი არ ჩანდა. თუმცა, ამ პირობებში არა მგონია ანქვაბმა მოახერხოს დაბრუნება, რუსეთი მას მხარს არ დაუჭერს. რუსეთი მის წინააღმდეგ რომ წავიდა, იმიტომ გადადგა. არა მგონია, ახლო მომავალში ხელისუფლებაში დაბრუნება სცადოს. რა უნდა შეიცვალოს ისეთი, რომ აფხაზეთში ანქვაბისთვის სასურველი ვითარება შეიქმნას.

***– თქვენ განაცხადეთ, რომ ასეთ ვითარებაში ხელისუფლებამ საინფორმაციო ომი უნდა აწარმოოს. რა რეკომენდაციას მისცემთ ხელისუფლებას?***

– აფხაზეთში ხაჯიმბას ხელისუფლება არ არის ისეთი, რომელთანაც შეიძლება კონსტრუქციულად ითანამშრომლოს. ეს გასაგებია, მაგრამ იძულებული ვართ, გარკვეულწილად, იქ ვინც არის, მასთან ვითანამშრომლოთ, ვაგრძნობინოთ მას, რომ ძალიან არაკონსტრუქციულად იქცევა. მე იმიტომ ვარ გაღიზიანებული, რომ აფხაზეთიდან დევნილი ვარ და ვიცი იმ კონფლიქტის გენეზისი, ვიცი, აფხაზეთში კონფლიქტი როგორ მოხდა.

***– როგორ უნდა აგრძნობინოთ ხაჯიმბას, რომ სწორად არ იქცევა?***

– საინფორმაციო ომი სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ აფხაზეთის მოსახლეობამდე მივიტანოთ ის, რაც იქ ხდება.

***– ოკუპაციის პირობებში ეს როგორ წარმოგიდგენიათ?***

– ეს შეიძლება განხორციელდეს საინფორმაციო საშუალებებით. ამისთვის სრულიადაც არ არის საჭირო სპეცსამსახურებისთვის დამახასიათებელი სპეციალური მეთოდები. ისიც საკმარისია, ჩვენი საქმიანობა გავშალოთ საკმაოდ გავრცელებული საინფორმაციო საშუალებებით – ელექტრონული მედიით, ბეჭდური მედიით თუ ფეისბუქით.

ამის გარდა, უნდა წავახალისოთ ადამიანებს შორის ურთიერთობა. ნათესავებს, ახლობლებს ერთმანეთთან დაკავშირებით საშუალება მივცეთ. მით უმეტეს, ჩვენ ძალიან კარგი საშუალება გვაქვს სამედიცინო დახმარების კუთხით.

***– სამედიცინო დახმარების კუთხით პროგრამები აქტიურად ხორციელდება, მეტი რაღა უნდა გავაკეთოთ?***

– ეს კარგია, მაგრამ ამის პროპაგანდა უნდა გავწიოთ. ნუ გვეშინია გამჟღავნების, რომ ისინი ჩვენთან მკურნალობენ. აფხაზეთში ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ თვალს ხუჭავენ – ვითომ ვერ ხედავენ, ვითომ არ იციან. ისიც ხომ ვიცით, რომ გარკვეული ლიდერებიც იყვნენ თბილისში სამკურნალოდ.

***– რომელი ლიდერები იყვნენ?***

– ყველამ იცის, ვინ არიან ის ლიდერები, რომლებსაც ვუმკურნალეთ. არ მინდა მათი სახელები ჩემგან გაჟღერდეს. ისინი აქეთ ისე ვერ წამოვიდოდნენ, დე ფაქტო ხელისუფლებასთან შეთანხმებული რომ არ ყოფილიყო.

***– აფხაზეთიდან დღესაც იღებთ ინფორმაციებს?***

– ვინც ჩართულია აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების საქმეში, ინფორმაციას ყველა იღებს. არ არის რთული, გაიგო, როგორია ადამიანების გუნება-განწყობა აფხაზეთში, ადეკვატური შეფასება მისცე და შენც ადეკვატურად იმოქმედო.

* * *

ლევან კიკნაძე უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს აფხაზეთში ქართველებისთვის პასპორტების ჩამორთმევის გამო:

– ხაჯიმბა იყო პირველი, რომელმაც ოპოზიცია აამხედრა იმისთვის, რომ გალისა და ოჩამჩირის ქართველობისთვის პასპორტები ჩამოერთმიათ. ის ადამიანები უუფლებო მდგომარეობაში დატოვა. სკოლებში ქართულად სწავლა გააუქმა. თავის მოსახლეობას აქეთ გადმოსვლა აუკრძალა. მათ ჩამორთმეული აქვთ პასპორტები და ჩაკეტილ მდგომარეობაში იმყოფებიან. ისინი ვერ მონაწილეობენ თუნდაც არალეგიტიმურ არჩევნებში.

ხაჯიმბამ შესანიშნავად იცის, რომ გალის მოსახლეობაზე, ქართველობაზეა დამოკიდებული არჩევნების ბედი. ამიტომ ისინი არჩევნებამდე არ მიუშვა. არც საპარლამენტო არჩევნებში მიაღებინეს მონაწილეობა, არც საპრეზიდენტო არჩევნებში და არც რეფერენდუმში ასეთ უუფლებო მდგომარეობაში არიან ქართველები აფხაზეთში. მონური მდგომარეობა სხვა რა არის?

***– რა უნდა გაკეთდეს? ჟენევის ფორმატში ხვდებიან აფხაზებსა და რუსებს, ვიცი, რომ იქ საუბრობენ ამაზე, მაგრამ შედეგი არ არის.***

– მოსახლეობის მხრიდან ზემოქმედების ბერკეტები უნდა აამოქმედო. თუ ამ ადამიანებთან სოლიდარულები იქნებიან ის აფხაზები, რომლებიც ჩვენგან დახმარებას იღებენ, მათთან თუ გაერთიანდებიან პრაგმატულად მოაზროვნე ახალგაზრდები და ადამიანები, რომლებსაც კიდევ შერჩათ თბილი დამოკიდებულება ქართველების მიმართ, ერთიანი ძალით გამოსვლის შემთხვევაში ხაჯიმბა თუ იგრძნობს ძალას ამათი მხრიდან, შეიძლება გარკვეულ დათმობებზე წავიდეს.

***– საპროტესტო აქცია უნდა გამართონ?***

– თუნდაც საპროტესტო აქცია გამართონ. ერთი მხრივ, არ უნდა მივცეთ საბაბი, მეორე მხრივ, აფხაზეთში ჩვენი ხალხია.

***– აქედან აფხაზეთში საპროტესტო აქციის ორგანიზება უნდა მოვახდინოთ?***

– არა, იქ, იმათში, ვინც ცოტა ნორმალურად აზროვნებს, ნდობა უნდა გავაღვივოთ. მათ უნდა იცოდნენ, რომ ოკუპანტები კი არა, აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობა ვართ, ისევე, როგორც თვითონ არიან. თუ ეს არ გაკეთდა, სხვანაირად ჩვენ იქ ვერაფერს გავხდებით.

# გიგი წერეთელი: „შეიძლება „ქართული ოცნების“ ახალი სახეები ზოგიერთ ძველზე სიმპატიურად გამოიყურება, მაგრამ ეს მთავარი არ არის“




ძალიან ეჭვი მეპარება, რომ ამდენი ტყუილის შემდეგ, განახლებულმა სახელისუფლო გუნდმა არჩევნებში საზოგადოების მაღალი ნდობა მიიღოს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიგი წერეთელმა „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი ახალი სახეების შეფასებისას განუცხადა.

გიგი წერეთლის თქმით, „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანება ნიშნავს იმას, რომ სოლიდარული ხარ იმ პოლიტიკის, რაც ქვეყანაში ხორციელდება.

– მე ახლა სუბიექტური შემფასებელი ვარ. ძალიან გამიჭირდება ყველაფერს ნეიტრალურად შევხედო. შეიძლება ახლადწარდგენილი ადამიანები ზოგიერთ ძველზე უფრო სიმპატიურად გამოიყურება, მაგრამ ეს არ არის მთავარი. „ქართული ოცნების“ წინა სია იმდენად ჭრელი იყო, იდეოლოგიურადაც აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები სხვა ტალღაზე იყვნენ მოსული. დღეს ხელისუფლებას უფრო მეტი დრო ჰქონდა იმისთვის გაეაზრებინა, რაღაც სახეები შეერჩია. ზოგიერთს გარკვეული საქმიანობიდან ვიცნობ, თუმცა ნამდვილად არ შემიძლია ვთქვა, რომ ისინი გარდატეხას მოახდენენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამ გუნდის მოსვლით იმდენად გაუმჯობესდება ამ ოთხი წლის განმავლობაში გაფუჭებული საქმეები, რომ ხალხი უკეთესად დაიწყებს ცხოვრებას. განახლებულ „ქართულ ოცნებაში“ არის ხალხი, რომელსაც ჩვენი მოსახლეობა კარგად იცნობს. ზოგი მათგანი პოლიტიკური ლიდერიც იყო, მაგრამ აბსოლუტურად ფერმკთალი და უპრინციპო. ასე რომ, მგონია, არაფრის შემძენი ისინი არ იქნებიან, ერთადერთი ეს ხალხი ნავსაყუდელს ეძებს – ისეთი ადამიანები, რომლებმაც ფეხი ვერსად მოიკიდეს, ახლა ბიძინა ივანიშვილის ფულის იმედად არიან – იქ ასეთებიც იქნებიან, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ გიგი წერეთელმა.

**ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

## დააკავეს მოსკოველი იმამი



მოსკოვში მეჩეთ იარდიამის იმამი მაჰმუდ ველიდოვი დააკავეს. მას ბრალად ტერორიზმის გამართლება ედება.

საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ ველიდოვი გმირებად მოიხსენიებდა შამილს, შეიჰ მანსურს და სხვებს, რომლებიც თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ.

ველიდოვს ბრალად ტერორიზმის გამართლება წაუყენეს და წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## მინსკში რუს ტურისტს მაისური გაახდევინეს



ბელარუსის დედაქალაქში ორმა ახალგაზრდამ აიძულა მინსკში ჩასული რუსეთის მოქალაქე, პუტინის გამოსახულებიანი მაისური გაეხადა.

მაისურს ამშვენებდა წარწერა: ვლადიმერ პუტინი ყველაზე ჭკვიანი, ძლიერი და თავაზიანი ადამიანია!

რუსი ამტკიცებდა, ეს მხოლოდ მაისურია და მეტი არაფერი, ამის მეტი სუფთა მაისური არა მაქვსო. ამას ყური არ ათხოვეს.

– არა უშავს, დასვრილით იარე! – იყო პასუხი.

რუსეთის მოქალაქე აიძულეს, რომ სამჯერ დაეყვირა, გაუმარჯოს ბელარუსს, ამის შემდეგ კი გაუშვეს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ ინციდენტს ხულიგნობა უწოდა და გამოთქვა რწმენა, რომ ბელარუსის ხელისუფლება ამას დაუსჯელად არ დატოვებს.

ბელორუსის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ სატელევიზიო გამოსვლისას ინციდენტს ჩვეულებრივი ხულიგნობა უწოდა. ამას გარდა, ლუკაშენკომ განაცხადა, არ მჯერა, რომ ხულიგნები ჩვენი მოქალაქენი იყვნენო.

– ბელარუსებს ასეთი აგრესია არ ახასიათებთ. არ გამოვრიცხავ, რომ თავდამსხმელები უკრაინიდან ჩამოსული ტურისტები იყვნენ, – ამბობს ლუკაშენკო.

### კალეიდოსკოპი

## ჩინეთში ჩრდილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი დაიბადნენ

ჩინეთის პროვინცია შანდუნის მცხოვრებმა ქალმა თავის ახლად დაბადებულ ტყუპებს სახელად დაარქვა სიაოდუნი (აღმოსავლეთი), სიაონანი (სამხრეთი), სიაოსი (დასავლეთი) და სიაობეი (ჩრდილოეთი). ამ ინფორმაციას ჩინური სააგენტო სინხუა ავრცელებს.

ჩინელ ქალს ოთხი ტყუპი ბავშვი (ორი ბიჭი და ორი გოგონა) მიმდინარე წლის 4 ივლისს შეეძინა.



27 წლის დედა ლი ცზიუანი მასწავლებლად მუშაობს. ის რამდენიმე წლის წინ გათხოვდა. წყვილს ძალიან უნდოდა ბავშვის ყოლა, მაგრამ ქალი ვერ ფეხმძიმდებოდა. ექიმის რჩევით ლი ცზიუანმა წამლების მიღება დაიწყო და ის გასული წლის ნოემბერში დაფეხმძიმდა.

დაფეხმძიმებიდან ცხრა კვირის თავზე მას აცნობეს, რომ ოთხი შვილის დედა გახდებოდა. ბავშვები საკეისრო კვეთის შედეგად ნაადრევად მოევლინენ ქვეყანას. ყველაზე პატარა დაახლოებით 1,75 კილოგრამს იწონის. ახლად დაბადებულებს ფილტვები და სხვა ორგანოები განუვითარებელი აქვთ და ამიტომ ისინი ერთი თვის მანძილზე ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში იქნებიან მოთავსებულნი.



## ბუდისტმა ბერებმა კიბორჩხალები გამოისყიდეს და გაუშვეს

კანადაში ბუდისტმა ბერებმა რვა ყუთი ცოცხალი კიბორჩხალები შეიძინეს, რომლებიც რესტორნებისთვის იყო განკუთვნილი და შემდეგ ისინი უკეანეში გაუშვეს.

განთავისუფლებული ომარების საერთო წონამ 270 კილოგრამს გადააჭარბა.

– იმედი მაქვს, ჩვენ ისეთი ადგილი შევარჩიეთ, სადაც მახეები არ არის მოწყობილი კიბორჩხალების დასაჭერად, – განაცხადა ერთ-ერთმა ბუდისტმა ბერმა.

სანამ ბერები ომარებს გაუშვებდნენ ოკეანეში, მათ სიმღერებითა და ლოცვებით 20 წუთიანი ცერემონია ჩაატარეს.

## კატა ლარი კემერონის წასვლის შემდეგ დაუნინგ-სტრიტზე დარჩება



კატა ლარი, რომელიც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში ბინადრობს, იქიდან დევიდ კემერონის წასვლის შემდეგ სხვაგან გადასვლას არ აპირებს.

როგორც ხელისუფლების კანცელარიის წარმომადგენელმა განაცხადა:

– ეს კატა სახელმწიფო მოხელეა, ის კემერონების წყვილს არ ეკუთვნის და ის ადგილზე დარჩება.

კატა ლარისთვის მის ბინად დაუნინგ-სტრიტი ნომერი 10 2011 წელს იქცა. კატა, რომელიც ამჟამად ცხრა წლისაა, ცხოველთა თავშესაფრიდან აიყვანეს და ის მთავარი თაგვების დამჭერის თანამდებობაზე დანიშნეს. კემერონი, რომელიც ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე 2010 წლიდან იმყოფებოდა, თავისი გუნდის ასეთ შევსებას სიხარულით შეხვდა.

ლარიმდე მთავარი მეთაგვის მოვალეობას 2007 წლის სექტემბრიდან 2009 წლის იანვრის ჩათვლით შავ-თეთრი ფერის კატა სიბილი ასრულებდა, ხაზინის მაშინდელი კანცლერის ალისტერ დარლინგის კატა. გავრცელებული ხმების თანახმად, გორდონ ბრაუნს სიბილი არ მოსწონდა.

მანამდე კი, დიდი ხნის მანძილზე სახელმწიფო რეზიდენციას მღრღნელებისგან კატა, სახელად ჰამფრი იცავდა. ის პენსიაზე 1997 წელს გაუშვეს. მან თავისი სამსახურის დროს სამი პრემიერ-მინისტრი გამოიცვალა: მარგარეტ ტეტჩერი, ჯონ მეიჯორი და ტონი ბლერი.

## არწივმა ბავშვის მოტაცება სცადა

ავსტრალიაში არწივი თავს დაესხა პატარა ბიჭს და კინაღამ გაიტაცა. ამ ინფორმაციას ადგილობრივ სააგენტოებზე დაყრდნობით ბი-ბი-სი ნიუსი ავრცელებს.

ველური ბუნების პარკში, რომელიც ავსტრალიის შტატ ვიქტორიაში მდებარეობს, შოუს დროს მაყურებლების თვალწინ მტაცებელი ფრინველი, რომელიც წარმოდგენის ერთ-ერთი მონაწილე იყო, ბავშვს დაესხა თავს, რომელიც სხვადასხვა მონაცემებით ექვსიდან რვა წლის ასაკამდე იყო.



ბავშვს ღია მწვანე ფერის ტანსაცმელი ეცვა. თვითმხილველთა თქმით, ის ტანსაცმლის ელვა შესაკრავს აწვალებდა, ხან გაიხსნიდა, ხან შეიკრავდა. სწორედ ამან მიიპყრო არწივის ყურადღება. ის შეეცადა ბიჭისთვის კლანჭები ჩაევლო და ჰაერში აეტაცა, შეშინებულმა ბავშვმა დაიყვირა. პარკის თანამშრომლებმა მომხდარზე დროული რეაგირება მოახდინეს და მტაცებელი ფრინველი ბავშვს მოაშორეს.

ამ ინციდენტის შედეგად ბავშვს თავიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ საბედნიეროდ არწივის მიერ მისთვის მიყენებული ტრავმები სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. პარკში მიმდინარე წარმოდგენა მაშინვე შეწყდა, ხოლო შოუს ერთ-ერთმა მაყურებელმა შემთხვევის გადაღება მოასწრო.

## ძაღლმა ხილით ინტერნეტ-მომხმარებლები მოხიბლა



ტაივანის ქალაქ ტაინანში მცხოვრები ძაღლი, სახელად სიაო პი, რომელიც ფოტოკამერის წინ სხვადასხვა ხილის ნაყოფებით პოზირებს, სოციალურ ქსელებში სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს. ის ცნობადი სახე მას შემდეგ გახდა, რაც მისმა პატრონმა ფეისბუქში მისი ფოტოსურათების გამოქვეყნება დაიწყო. 111 ათასზე მეტმა ადამიანმა აღნიშნა, რომ მათ მოსწონთ ცხოველის აკაუნტი.

შვიდი წლის ჯუჯა პინჩერის ჯიშის ძაღლის პატრონის საქმიანობას ხილითა და ბოსტნეულით ვაჭრობა წარმოადგენს. თავისი ძაღლის ფოტოსურათების გამოქვეყნების წყალობით ცდილობდა ის მომხმარებლების ყურადღების მიპყრობას.

ყვავილებისა და ხილისგან დამზადებული აქსესუარებით მორთვის გარდა, სიაო პის სხვადასხვა კოსტუმებსაც აცმევენ, რომლებიც სავარაუდოდ თავად პატრონის შექმნილია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**მკურნალობა მამაკცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

## განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**იყიდება**

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45. სერთიფიკატი №53.

●სიგარეტის მწეველობაზე თავის დანებება მარტივად, ნერვული დაძაბვის, ფილტვების გაწმენდის ხარჯზე, ნიკოტინისგან დამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, უსაფრთხო, მაღალშედეგიანი პარასამკურნალო საშუალებით, სრულიად განსაკუთრებული შედეგიანი პროდუქტია ფიტოთერაპიაში – გარანტირებული შედეგით, ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# დინამომ ლიგა მოგებით გახსნა

**დინამო (საქართველო) – ალაშკერტი (სომხეთი) 2:0**

**თბილისი.** დინამო არენა,

1:0 კიტეიშვილი (55), 2:0 ქვილითაია (69პ)

**დინამო:** სკრიბე, სპიჩიჩი, რენე, ამისულაშვილი, ლობჟანიძე (კიტეიშვილი 49), ჭანტურიშვილი, ველევი, პარუნაშვილი, ჯიღაური, დვალიშვილი (კურიე 83), ქვილითაია (პაპუნაშვილი 76)

**ალაშკერტი:** კასპაროვი, იედიგარიანი, მინასიანი, ტასიჩი (ბარეგამიანი 46), ვოსკანიანი, პოლოსიანი, დაშიანი, გრიგორიანი, მურადიანი, სავინი (იედიგარიანი 64), გიოზალიანი (მელქონიანი 83)

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში თბილისის დინამომ 2:0 დაამარცხა სომხური ალაშკერტი და დიდი ნაბიჯი გადადგა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ დინამომ იდეალურად ითამაშა. პირიქით, იურაი იარაბეკის შეგირდების თამაში უკეთესის სურვილს ტოვებდა. სომხებს 2 ცენტრალური მცველი აკლდათ და დინამოელთა თავდამსხმელებს „ლიპიანი“ ბიძიების წინააღმდეგ მოუწიათ თამაში. ასეთ შემთხვევაში პირველ ტაიმში ერთი სახიფათო მომენტიც კი არ შექმნილა ალაშკერტის კართან და ალბათ მეორეშიც გაჭირდებოდა, უჩა ლობჟანიძეს ტრავმა რომ არ მიეღო და მის ნაცვლად იარაბეკს მოედანზე ოთარ კიტეიშვილი არ შემოეყვანა.

სწორედ კიტეიშვილის გამოყვანის შემდეგ დაემგვანა დინამოელთა შეტევები ორგანიზებულს. იარაბეკის სასტარტო შემადგენლობა კი ასეთი იყო: კარს ახალწვეული ანტონი სკრიბე იცავდა, დაცვაში მარჯვნივ ლობჟანიძე ირჯებოდა, ცენტრში – ალექსანდრე ამისულაშვილი და რენე ფერეირა, ხოლო მარცხენა ფლანგი ასევე ახალწვეულ მატია შპიჩიჩს ებარა.

ნახევარდაცვის საყრდენადაც ახალწვეული იყო – სტეფან ველევი, მის წინ ლაშა პარუნაშვილი იდგა, მარჯვნივ ჯაბა ჯიღაური, ხოლო მარცხნივ გიორგი ჭანტურიშვილი მოქმედებდნენ. თავდასხმაში კი გიორგი ქვილითაია და ვლადიმერ დვალიშვილი აწუხებდნენ ალაშკერტელთა მცველებს.

ლობჟანიძის გასვლის შემდეგ ველევმა დაცვის მარჯვენა ფლანგზე გადაიწია, პარუნაშვილმა ოდნავ უკან დაიხია, ხოლო კიტეიშვილი თავდამსხმელების უკან მოქმედებდა. დინამომ მეტოქის კარში პირველად 54-ე წუთზე დაარტყა, როდესაც კასპაროვმა ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი აუღო ჭანტურიშვილს, მაგრამ ერთ წუთში კიტეიშვილის შორიდან გასროლას ვერაფერი მოუხერხა.

67-ე წუთზე ალაშკერტის საჯარიმოში სტუმართა მცველებმა ჯიღაურთან თამაშისას წესის დარღვევით ითამაშეს, ჩეხმა არბიტრმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც ქვილითაიამ გოლად აქცია.

მალე დინამოს კართან შეიქმნა სახიფათო მომენტი – გრიგორიანის დარტყმის შემდეგ ბურთი რენე ფერეირას მოხვდა ფეხზე და სკრიბეს ზურგსუკან კარისკენ დაეშვა. დინამო ძელმა იხსნა.

ამის შემდეგ ისევ მასპინძელთა ჯერი დადგა. მეკარესთან პირისპირ გასულმა დვალიშვილმა დაწოლილ მეკარეს ვერ გადააცილა ბურთი, უკუგდებულს კი შეცვლაზე შესულმა გიორგი პაპუნაშვილმა დაამატა, მაგრამ ისევ მეკარემ იმარჯვა.

გადავრჩით ბოლოშიც. სომეხთა სტანდარტულის შემდეგ დაშიანმა თავით მოიგო ორთაბრძოლა და დაარტყა კიდეც – ბურთი ოდნავ ასცდა სკრიბეს კარს.

მოკლედ, დინამომ სოლიდური ნაბიჯი გადადგა ჩემპიონთა ლიგის



მესამე საკვალიფიკაციო ეტაპისკენ. და მაინც, 2:0 არ იძლევა დამშვიდების საშუალებას...

**იურაი იარაბეკი, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– ჩემპიონთა ლიგისთვის კარგად განვეწყეთ. რთული მატჩი იყო, იმიტომ, რომ ალაშკერტი 5 მცველით თამაშობდა და აქცენტი კონტრშეტევებზე ჰქონდა გაკეთებული. ალაშკერტი კარგი გუნდია, ის სომხეთის ჩემპიონი გახდა, წინა სეზონის გათამაშებაში კი სენტ ჯონსონი დაამარცხა.

**აბრაჰამ ხაშმანიანი:**

– გუნდმა ნორმალურად ითამაშა, ფეხბურთელების თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. შევეცდებით საშინაო შეხვედრა გამარჯვებით დავასრულოთ, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ.

# ზაზა ფაჩულია: გადაწყვეტილება მე მივიღე და უკან აღარ მოვიხედავ



ზაზა ფაჩულიამ გოლდენ სტეიტთან ერთწლიანი კონტრაქტი რომ გააფორმა, არახალია. არც ის იქნება ახალი, თუ ვიტყვით, რომ ზაზა კალიფორნიულ კლუბშიც 27 ნომერი მაისურით ითამაშებს – ეს ნომერი ზაზას ყველა გუნდში ეკუთვნოდა და ასე იქნება გოლდენ სტეიტშიც.

სწორედ 27-ნომრიანი მაისურით წარუდგა საქართველოს ნაკრების კაპიტანი მედიას:

– ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ კევინ დურანტი გოლდენ სტეიტში გადავიდა, რამდენიმე საათში კი შემატყობინეს, რომ მეც ამ გუნდში ვითამაშებდი. ეს იყო დიდებული 24 საათი ჩემთვის. ჩემმა აგენტმა დამირეკა და მითხრა, რა ვარიანტები მქონდა. მითხრა, რომ ჩემით გოლდენ სტეიტი იყო დაინტერესებული. ამის მერე ველაპარაკე მწვრთნელ სტივ კერს, ვინც მითხრა, რომ მე ვიყავი მათი გუნდის ნომერ პირველი ვარიანტი ცენტრის პოზიციაზე. ეს იყო ჩემთვის ძალზე ამაღელვებელი მომენტი. ყოველთვის სასიამოვნოა, როცა გაფასებენ და უნდიხარ, მით უფრო, როცა ლაპარაკი გოლდენ სტეიტის დარ გუნდზეა.

ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ფაჩულიას ხელფასმა. როგორც ცნობილია, ზაზა ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ 2,9 მილიონ დოლარს მიიღებს, როდესაც ბოლო 3 წლის მანძილზე 5,2 მილიონ დოლარს იღებდა. ბოლო სეზონი კი მის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ამიტომაც ბევრი უკეთეს კონტრაქტს ელოდა და ამ დროს ქართველი კიდევ უფრო ნაკლებ ანაზღაურებას დათანხმდა.

– გადაწყვეტილება თავად მივიღე და ვამაყობ ამით. ბედნიერი ვარ, რომ ასე მოვიქეცი. უკან აღარ მოვიხედავ.

# ანჩელოტი: „ბაიერნში ახალი ერა იწყება“



მიუნხენის ბაიერნის ახალი მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი უკვე გერმანიაშია და საზოგადოებას პირველი შთაბეჭდილებებიც გაუზიარა.

პრესკონფერენცია ანჩელოტიმ გერმანულ ენაზე დაიწყო, შემდეგ კი კითხვებს იტალიურ-ინგლისურ ენებზე პასუხობდა.

**კარლო ანჩელოტი:**

– აქ ყოფნით ბედნიერი ვარ, რისთვისაც ბაიერნს დიდ მადლობას ვუხდი. ვფიქრობ, ჩემმა მეგობარმა პეპ გვარდიოლამ ბოლო 3 წლის განმავლობაში უდიდესი სამუშაო გასწია, ბრწყინვალე გუნდი გვყავს. შევეცდებით, რომ ყველა ტურნირზე მოსაგებად ვიბრძოლოთ. მივესალმები ჩვენს ფანებს. დღეიდან ახალი ერა იწყება!

ბაიერნი მსოფლიოში ისტორიით ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ამ კლუბის სათამაშო სტილი და ფილოსოფია კარგად ვიცი. გვინდა, რომ შემტევი ფეხბურთი ვითამაშოთ. აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ რევოლუცია მოვაწყო – პირიქით, გვარდიოლას სტილს გავაგრძელებ. ძალზე დაბალანსებული გუნდი გვყავს და ტრანსფერებზე არ ვფიქრობთ, თუმცა 31 აგვისტომდე დრო მაინც გვაქვს.

რაც შეეხება მარიო გიოტცეს, იგი ბაიერნის ფეხბურთელია და მინდა დაგარწმუნოთ, რომ ნამდვილად ჯდება ჩვენს გეგმებში. ჩვენ ერთი თვის წინ ვისაუბრეთ, თუმცა ეს პირადული საუბარი იყო.

ჩემი სათამაშო სტილი ცვალებადია. ვიყენებ როგორც 4-4-2, ისე 4-3-3 სქემას. ხალხი ზეწოლაზე მეკითხება, მაგრამ პირიქით, მიყვარს ეს საქმე და არანაირ ზეწოლას არ ვგრძნობ. გამიმართლა, რომ ტოპ გუნდებში მაქვს ნამუშევარი.

ბუნდესლიგა ძალიან საინტერესო ჩემპიონატია. კონკურენციაც არის, კარგი იმიჯიც და ატმოსფეროც ძალიან მომწონს. ახალი სეზონისთვის უკვე გვყავს მატს ჰუმელსი და რენატო სანჩესი, რომელიც ევროპის ჩემპიონი გახდა.

ბაიერნში ლეგენდარული ჯოვანი ტრაპატონის შემდეგ მეორე იტალიელი ვარ. იმედი მაქვს, ჩემს კვალს დავტოვებ.

# ბარსელონა 60 მილიონიან ფეხბურთელებს ეძებს



დენის სუარესის, სამუელ უმტიტისა და ლუკა დინის შემდეგ, ბარსელონას, მიმდინარე ზაფხულში ფეხბურთელების შესაძენად, კიდევ 60 მილიონი ევრო აქვს გამოყოფილი, რომლითაც კატალონიელებმა თავდამსხმელი და შესაძლოა მეკარე უნდა შეიძინონ.

ამ თანხას ლუკა დინის სატრანსფერო ფასი გამოაკლდება, მაგრამ ფეხბურთელების გაყიდვიდან მიღებული თანხებით შეივსება. წამსვლელი კი ბევრია. მათგან ერთის, მარკ ბარტრას ტრანსფერის თანხა ბარსელონამ უკვე მიიღო.

ახალი სეზონისთვის ბარსელონას მზადებას უახლოეს დღეებში დაიწყებს და კატალონიური კლუბის სპორტულმა დირექტორმა, რობერტ ფერნანდესმა, გუნდიდან წამსვლელი ფეხბურთელების ბედი უნდა გადაწყვიტოს. ასეთი სულ 8 მოთამაშეა.

**კლაუდიო ბრავო:** ბარსელონა აპირებს ფსონს მარკ-ანდრე ტერ შტეგენზე ჩამოვიდეს, ბრავო კი, რომელსაც მანჩესტერ სიტი იწვევს, წასვლისთვის მზად უნდა იყოს. ფეხბურთელის სატრანსფერო ფასი 15 მილიონი ევროა, მაგრამ ბლაუგრანა 20 მილიონს ითხოვს.

**ტომას ვერმალენი:** სამუელ უმტიტის მოსვლის შემდეგ, ბელგიელი ფეხბურთელის ისედაც მცირე სათამაშო დრო კიდევ უფრო შემცირდება. მისით რომა და არსენალი არიან დაინტერესებულნი, მაგრამ ივარაუდება, რომ ვერმალენი კარიერას ვესტ ჰემში განაგრძობს. ბარსელონა 12 მილიონ ევროს ითხოვს.

**დუგლას პერეირა:** ბრაზილიელი ფეხბურთელი რთულ მდგომარეობაშია. პერეირა ლუის ენრიკეს გეგმებში არ შედის და არც ბრაზილიაში დაბრუნება სურს. პერეირას არენდით აყვანის სურვილს ლა ლიგის რამდენიმე გუნდი გამოთქვამს და რობერტ ფერნანდესს ამ საკითხზე მუშაობა მოუწევს.

**ადრიანო კორეია:** ლუკა დინის ტრანსფერი ბრაზილიელი განაპირა მცველის გუნდიდან წასვლას ნიშნავს. ფეხბურთელი მოლაპარაკებებს ლაციოსთან აწარმოებს. ასევე არაა გამორიცხული ფეხბურთელი ბრაზილიაში დაბრუნდეს. ბარსელონას არ სურს, რომ ადრიანო გუნდიდან უფასოდ გაუშვას.

**კრისტიან ტელიო:** ფიორენტინაში ადაპტაციის კარგად გავლის შემდეგ, გარემარბს ფლორენციულ გუნდში დარჩენა უნდა. თუმცა, აქ ფინანსური პრობლემა იკვეთება. ბარსელონა 8 მილიონ ევროს ითხოვს, იტალიელებს კი ამდენის გადახდა არ უნდათ. ტელიოს სუონსი და ლივერპულიც იწვევენ.

**ალენ ჰალილოვიჩი:** ახალგაზრდა ხორვატმა შემტევმა ხიხონში თავი კარგად წარმოაჩინა და ბარსელონა მის კვლავ განათხოვრებას გეგმავს. ფეხბურთელის შეძენით ვალენსიაა დაინტერესებული. კატალონიელები ფეხბურთელის გაყიდვას და გამოსყიდვის უფლების დატოვებას არ გამორიცხავენ. თუმცა, კონკრეტული ჯერ არაფერი ისმის.

**მარტინ მონტოია:** გასული სეზონის მე-2 ნახევარი მონტოიამ ბეტისში გაატარა, ახლა კი მისი არენდა დასრულებულია. ჯერჯერობით უცნობია, დაბრუნდება თუ არა ის სევილიურ გუნდში. მონტოიას ასევე უკავშირებენ ფენერბაჰჩეს.

**ალექს სონგი:** 28 წლის კამერუნელ ნახევარმცველს ბარსელონასთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს. ვესტ ჰემს მისი გუნდში დატოვება არ უნდა და ჯერჯერობით, გამოსავალი არც ჩანს. სონგის მიმართ მცირედი ინტერესი თურქულმა გალათასარაიმ გამოხატა.

# 18 წლამდე ნაკრები ფინალში სომხებს დაუპირისპირდება

საქართველოს 18-წლამდე გოგონათა ნაკრები ც დივიზიონის მოგების ზღვარზეა. ლელა ცანავას, როლანდ გელოვანისა და მანანა ბიჩინაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ანდორას სძლია და ფინალში გავიდა. საქართველოს ფინალში სომხეთი ელოდება, რომელმაც მანამდე გამართულ ნახევარფინალში მალტას 59:43 სძლია.

საქართველოს ნაკრებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, თუმცა ანდორამ ბოლო პერიოდის შუაწელში გაიბრძოლა და ქართველები აანერვიულა. ცანავას გუნდმა თამაში შედეგიანად დაიწყო და ვიქტორია გეგეშიძისა და ნატალია ოთხმეზურის მეძულეობით პირველი პერიოდი 28:11 მოიგო. მეორე პერიოდში ქართველების უპირატესობამ 20 ქულას მიაღწია, რამაც ჩვენი გუნდი მოადუნა, იოლ გამარჯვებაში დაარწმუნა და ამან უკუშედეგი გამოიღო.

მარია მოლინეს ლიდერობით ანდორელებმა მესამე პერიოდი 25:16 მოიგეს და ბოლო მეოთხედის ახალდაწყებულზე ქართველებს სულაც 3 ქულით მიუახლოვდნენ – 61:64. აქ თავისი სიტყვა თქვა ნატალია ოთხმეზურმა, რომელმაც მიჯრით რამდენიმე შეტევა დააგვირგვინა და როცა მას თანაგუნდელებიც აყვნენ, საქართველოს უპირატესობა 10 ქულამდე გაზარდა და ანდორელებს თამაშის გადარჩენის საშუალება აღარ დაუტოვა.



საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა 77:67 გაიმარჯვა და მანამდე ფინალში გასულ სომხეთს შეუერთდა. ქართველებს 29 ქულით ნატალია ოთხმეზურმა ულიდერა. 18 ქულა დააგროვა ვიქტორია გეგეშიძემ, ხოლო ელენე მანდარიას ანგარიშზე ორმაგი დუბლი – 10 ქულა და 11 მოხსნა დაგროვდა. ანდორელთაგან საუკეთესო მარია მოლინემ 28 ქულა მიითვალა.

## შედეგები

12 ივლისი

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ზრინისკი-ლეგია | 1:1 |
| ყარაბაღი-დუდელანჟი | 2:0 |
| დინამო (თბ)-ალაშკერტი | 2:0 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-შერიფი | 3:2 |
| ბატე-სეინიაიოკი | 2:0 |
| ლინკოლნი-სელტიკი | 1:0 |
| ვალეტა-ცრ.ზვეზდა | 1:2 |
| ლანსანტფრეიდი-აპოელი | 0:0 |
| ზალცბურგი-ლიეპაია | 1:0 |
| ვარდარი-დინამო ზ) | 1:2 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# გულის არეში ტკივილის მიზეზი შეიძლება გული არ იყოს

**გულმკერდის მარცხენა ნახევარში, ანუ გულის არეში აღმოცენებული ტკივილი სასწრაფო დახმარების გამოძახების ყველაზე ხშირი მიზეზია. ტკივილი გულის არეში, წარმოშობის მიზეზების მიხედვით, რამდენიმე ჯგუფად იყოფა:**

ანგინოზური ტკივილი, რომელიც ვითარდება გულის იშემიური დაავადების სხვადასხვა სტადიების დროს. მას იწვევს მიოკარდიუმის განსაზღვრულ უბნებში სისხლის მიდინების შემცირება (სტენოკარდია, ინფარქტი).

ტკივილი გულის არეში, გამოწვეული გულის ანთებითი დაავადებებით, გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით ან ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიით,

თუ ტკივილი გულის იშემიური დაავადების (სტენოკარდია, ინფარქტი) გამოვლინებაა, ასეთი ტკივილებისათვის დამახასიათებელია ტკივილის აღმოცენება ან გაძლიერება სიარულის, ემოციური დაძაბულობის დროს (ფიზიკური დატვირთვის ან ემოციური დაძაბულობის დროს ხდება სისხლის მიმოქცევის გაძლიერებაზე მოთხოვნილების აღმოცენება) და მისი შესუსტება ან გაქრობა მოსვენებისას. ასეთი ტკივილი ხშირად იხსნება ნიტროგლიცერინის მიღების ფონზე. ძალიან ძლიერი, ზეწოლითი, მოჭერითი ხასიათის ტკივილი, მკერდის ძვლის უკან ან მისგან მარცხნივ, რომელიც განიცდის ირადიაციას (გადაცემას) ხელში, კისერში, მარცხენა ბეჭში, ზოგჯერ ქვედა ყბაში ან კბილშიც კი, შეიძლება მიოკარდიუმის ინფარქტის ერთ-ერთი სიმპტომი იყოს. ამასთან, ის შეიძლება აღარ მოიხსნას ნიტროგლიცერინით.

რევმატიული დაავადებით გულის დაზიანების ფონზე აღმოცენებული ტკივილის მიზეზი არის გულის გარეთა გარსში – პერიკარდიუმში განვითარებული ანთებითი ცვლილებები. ასეთი ტკივილები, როგორც წესი, ხანგრძლივია, ხშირია მკერდის ძვლის უკან ტკივილი, რომელიც ძლიერდება სუნთვის, ხველების დროს. ასეთი ტკივილი არ იხსნება ნიტროგლიცერინით, მაგრამ შეიძლება შესუსტდეს ტკივილდამაყუჩებელი პრეპარატების დანიშვნის შემდეგ.

თუ ტკივილი გულის არეში იცვლება წინ დახრის ან სხეულის შემობრუნების დროს, ასევე ღრმა შესუნთქვისას და ამოსუნთქვის, ხელების მოძრაობის დროს ასეთი ტკივილი გამოწვეულია გულმკერდის რადიკულიტით. ნიტროგლიცერინისა და ვალიდოლის მიღება პრაქტიკულად არ ცვლის ტკივილის ინტენსივობას.

ძლიერი ტკივილი ნეკნთაშუა არეების გასწვრივ, ჩვეულებრივ, ჰერპეს ზოსტერის ადრეული გამოვლინებაა, ხოლო გულის არეში აღმოცენებული გახანგრძლივებული, შემაწუხებელი ყრუ ტკივილი და სიმძიმის შეგრძნება ან ჩხვლეტითი ხასიათის ტკივილი ნევროზის გამოვლინებაა.

სტრესი და დეპრესია გამოვლინდება ძირითადად ტკივილით კისრისა და მხრის ნაწილში. ასეთი ტკივილი უმეტესწილად კუნთოვანი წარმოშობისაა. ხშირად ქოშინი, მოჭერითი ან ჩხვლეტითი ტკივილი გულის არეში



დაკავშირებულია ნაწლავების შებერილობასთან, რაც დიაფრაგმის გზით აწვება გულის მწვერვალს და ამით ახდენს მისი ფუნქციის გაუარესებას.

თუკი ტკივილის აღმოცენება გარკვეულად უკავშირდება განსაზღვრული სახის საკვების მიღებას, შესაძლოა მისი მიზეზი სწორედ ეს არის და არა გულის დაავადება. ნაღვლის ბუშტის ანთებით ან ნაღველკენჭოვანი დაავადებით გამოწვეული ტკივილი ასევე შეიძლება გამოვლინდეს გულის არეში ან ბეჭის მიდამოში განვითარებული ჭვალის სახით.

ტკივილის მიზეზი შესაძლოა გახდეს ხერხემლის გულმკერდის მიდამოს სხვადასხვა დაზიანება, მაგ. ოსტეოქონდროზი, ხერხემლის გამრუდება, დისკოზი და სხვა.

გულის არეში ტკივილის დროს, საჭიროა გავერკვეთ, თუ რამდენად სახიფათოა ის ჩვენი ჯანმრთელობისათვის და რამდენად საჭიროა სასწრაფოს გამოძახება. ამისათვის უნდა გავითვალისწინოთ ტკივილის ხასიათი.

* * *

დიაგნოზის დასმისათვის საჭიროა არამარტო ტკივილის ხასიათის გათვალისწინება და სწორი ინტერპრეტაცია, არამედ საკმაოდ გულდასმითი გამოკვლევა, მათ შორის კარდიოლოგის კონსულტაციის აუცილებელი ჩართვა.

გულის დაავადების სიმპტომებია გულმკერდის მარცხენა ნახევარში აღმოცენებული ტკივილი, გულის ფრიალი, გულისცემისა და „გამოვარდნების" შეგრძნება, ქოშინი, შეშუპება, გულის წასვლა, გონების უეცარი გაკარგვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალების 43% საერთოდ ვერ გრძნობს ტკივილს გულმკერდში და უჩივის ტკივილს ძირითადად ხერხემლის მიდამოში ან გულმკერდის ზედა ნაწილში. ქალებში გულის დაავადებების ნიშანი შეიძლება იყოს სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე, ცივი ოფლი და თავბრუსხვევა.

ნევროზების, გულის მანკების, ხერხემლის კისრისა და გულმკერდის ნაწილის, ასევე მთელი რიგი შინაგანი ორგანოების დაავადებებით გამოწვეული ტკივილი ძალიან ხშირად ემგვანება სტენოკარდიულ შეტევას, ამიტომ დიაგნოზის დადგენა შეუძლია მხოლოდ ექიმ-კარდიოლოგს.

გამოკვლევის აუცილებელ ნაწილს შეადგენს ელექტროკარდიოგრამა (ეკგ), ტრედმილ-ტესტი (ეკგ-ს ჩაწერა ფიზიკური დატვირტვის დროს) და ჰოლტერის მონიტორირება ( ეკგ-ს დღე-ღამური ჩაწერა).

გულის აუსკულტაციის (მოსმენის) დროს გამოვლენილი შუილების ჩაწერა და ანალიზი ხდება ფონოკარდიოგრაფიის მეთოდით.

ექოკარდიოგრაფიის მეთოდით ხდება ულტრაბგერის საშუალებით გულის კუნთისა და სარქველების მდგომარეობის შესწავლა, ასევე გულის ღრუებში სისხლის მოძრაობის ხასიათისა და სისწრაფის შეფასება.



კორონაროგრაფიის მეთოდი გამოიყენება კორონარული სისხლძარღვების მდგომარეობის გამოსაკვლევად. სისხლძარღვების სანათურის შევიწროების დასადგენად ასევე გამოიყენება სცინტიგრაფიის მეთოდი.

გულის არეში ტკივილის არაკარდიული მიზეზების გამოსარიცხად აუცილებელია რენტგენოგრაფიის ჩატარება, ზოგჯერ ხერხემლის კომპიუტერული და ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის ჩატარება.

საინტერესოა კარდიოლოგების დაკვირვებით, თუკი ადამიანი დაწვრილებლით და ხატოვნად აღწერს გულის არეში ტკივილს, ან აკეთებს ჩანაწერს, მაშინ როცა ტკივილი ყოველ ჯერზე სვადასხვაა და გრძელდება ხანგრძლივად, ეს უხშირესად გულის პათოლოგიით გამოწვეული ტკივილი არ არის და კარდიოლოგები მის მიზეზს სხვაგან ეძებენ.

თუკი აღწერილობა მწირია, ზედმეტი სიტყვების გარეშე, პაციენტს კარგად ახსოვს მტკივნეული შგრძნებების ხასიათი, ეს მეტყველებს გულის სერიოზულ დაავადებაზე.

თუ ტკივილი აღმოცენდება ფიზიკური დატვირთვის შემდეგ ან მოსვენების დროს, შეტევითი ხასიათისაა, უმეტესად ლოკალიზდება მკერდის ძვლის უკან (შეიძლება ტკივილი გადაეცემოდეს მარცხენა ხელში, კისერში, ქვედა ყბაში, ბეჭში), აღიქმება, როგორც წვა, ზეწოლა, მოჭერა, უხშირესად ეს არის გულის იშემიური დაავადების ერთ-ერთი ფორმის, სტენოკარდიით გამოწვეული ტკივილი.

გაციების ფონზე აღმოცენებული ტკივილი ასევე არ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ. ის შეიძლება იყოს აგრეთვე როგორც რეაქცია მიკრობულ ტოქსინებზე, ასევე რევმატიზმის და ენდოკარდიტის პირველი გამოვლინება.

მიზეზის დაზუსტება შეუძლიათ კარდიოლოგსა და რევმატოლოგს, გულის ტონების ყურადღებით მოსმენისა და სისხლის საერთო და ბიოქიმიური ანალიზების, ასევე ეკგ, გულის ულტრაბგერითი გამოკვლევის (ულტრასონოსკოპია) და სხვა დამხმარე გამოკვლევების საფუძველზე.

* * *

ხანგრძლივი, ყრუ, შემაღონებელი ტკივილი, გულმკერდის მთელ მარცხენა ნახევარში, რომელიც აღმოცენდება მოსვენების დროს, უფრო ხშირად აღელვების ფონზე. ხშირად მას ნერვული ბუნება აქვს. ყველაზე ხშირად სავარაუდოდ მას იწვევს დეპრესია ან ვეგეტატიური დისფუნქცია.

ასეთ შემთხვევაში უნდა ჩაიტაროთ ფსიქო-ნევროლოგის კონსულტაცია. მკურნალობა საჭიროა არამარტო გუნებ-განწყობის გასაუმჯობესებლად, არამედ ჯანმრთელობისათვის შემდგომი ზიანის თავიდან ასაცილებლად.

თუ ტკივილი ძლიერდება ღრმა სუნთქვისას, სხეულის მოძრაობის დროს ან ზედა კიდურების ზევით აწევის დროს ვითარდება ჩხვლეტითი ხასიათის ტკივილი გულის არეში, ნუ მიაკუთვნებთ თქვენს თავს გულით ავადმყოფების რიცხვს. არასასიამოვნო შეგრძნებების მიზეზი საყრდენ-მამოძრავებელი აპარატში უნდა ვეძებოთ. პირველ რიგში, უნდა გამოირიცხოს გულმკერდის მიდამოს ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, ნეკნთაშუა ნევრალგია და მიოზიტი (კუნთების ანთება).

ზოგჯერ გული იწყებს „ღრღნას" საკვების გადაჭარბებული მიღების, ცხიმიანი ან ცხარე საკვენის მიღების ან შიმშილის ფონზე. ასეთი ტკივილი აღმოცენდება გულისა და მუცლის ღრუს ორგანოების საერთო ინერვაციის არსებობის გამო. ის შეიძლება იყოს გასტრიტის, კუჭის წყლულოვანი დაავადების, პანკრეატიტის, ქოლეცისტიტის ან ნაწლავების შებერილობის გამოვლინება.

მკვეთრი ტკივილი გულმკერდის არეში, განსაკუთრებით ნეკნთაშუა მიდამოებში კანზე არსებულ გამონაყართან ერთად გამოვლინდება ჰერპეს ზოსტერის ფონზე. ძირითადად ავადდებიან მოზრდილები, ვინაიდან ბავშვებში იგივე გამომწვევი ვირუსი ჩუტყვავილას მიზეზი ხდება.

არ გადადოთ დიდხანს ვიზიტი ექიმთან (უმჯობესია კარდიოლოგთან); აუცილებლად გაიკეთეთ ელექტროკარდიოგრამა (ეკგ), სტრეს-ეკგ (ეს არის ეკგ, ჩაწერილი ფიზიკური დატვირთვის ფონზე) და ჩაიტარეთ ეკგ-ს სადღეღამისო მონიტორირება ჰოლტერის მიხედვით.

## ასტროპროგნოზი
### 14 ივლისისთვის



**ვერძი** – ძალზე პერსპექტიული დღეა. გაგიმართლებთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. ცოდნის მისაღებად მშვენიერი შანსი გეძლევათ. **კურო** – საქმე დინჯად და ორგანიზებულად აკეთეთ. ზოგიერთი საკითხი თქვენგან მყისიერ რეაგირებას მოითხოვს, მაგრამ ეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ. **ტყუპები** – საკუთარი წარმატების დაპროგრამებას თავად ახერხებთ. მთავარია, იყოთ გაბედული, თავდაჯერებული და მშვიდი. განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. **კირჩხიბი** – ძალზე ჰარმონიული დღე გაქვთ. გეგმების განხორციელებაში ხელს ვერაფერი შეგიშლით, თუმცა ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის ენერგიის დახარჯვა მაინც მოგიწევთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ფინანსური კუთხით სიძნელეები შეგხვდებათ. ასევე, მოსალოდნელია უთანხმოება კოლეგებთან. ერიდეთ უსაგნო საუბრებს. **ქალწული** – ბიზნესის სფეროში პერსპექტიულ წინადადებას შემოგთავაზებენ. მოულოდნელი შეხვედრის გამო შესაძლოა გეგმები შეგეცვალოთ. **სასწორი** – იოლად ნურავის მიენდობით. დიდია მოტყუების ალბათობა. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა დღეს გაუმართლებელია. **ღრიანკალი** – გეგმების რეალიზაციაში დაბრკოლება შეგხვდებათ. წარმატებას მხოლოდ ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით მიაღწევთ. **მშვილდოსანი** – შესაფერისი დღეა გარემოს შესაცვლელად. კარგი იქნება, თუ ქალაქგარეთ გაისეირნებთ. **თხის რქა** – იყავით ინიციატივიანი და ყველა საქმეს წარმატებით გაართმევთ თავს. საკუთარი პოზიცია არ დათმოთ. **მერწყული** – ემოციები მოთოკეთ. აგრესია ჩაიხშვეთ და ისე იმოქმედეთ. ასე დიდ სკანდალს აიცილებთ თავიდან. **თევზები** – ფინანსური მდგომარეობა ერთობ არასტაბილურია. ერიდეთ საყიდლებზე წასვლას. განსაკუთრებით სახიფათოა ძვირფასი ნივთის ყიდვა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 2. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 3. ქალაქი ესპანეთში, სადაც იმართება კორიდის სეზონის გახსნის ცერემონიალი; 4. ქართველი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი; 8. შამპანურის შემქმნელად მიჩნეული ბენედიქტელი ბერი; 9. მცირეწლოვანი ბავშვის შვილად აყვანა; 11. მადრიდის „რეალში" მოთამაშე ფრანგი ფეხბურთელი; 12. მომღერალთა გუნდის ძველი სახელწოდება; 14. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 16. მომავალი მუშაობის, მოღვაწეობის გეგმა; 17. უმაღლესი მწვერვალი ალპებში; 19. ერთ-ერთი უზენაესი ღვთაება ინდუიზმში; 21. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 5. იაპონური მოტოციკლეტი; 6. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 7. დიდი შხამიანი ობობა; 10. მადნის, ქვიშის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 13. ცხარე საწებელი; 15. ნაყინის მოსამზადებელი აპარატი; 18. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში; 20. ფრანგული კოსმოსური ხომალდების სერია; 22. ჰოლანდიური ლუდი; 23. ადამიანის, ცხოველის ჩანასახი; 24. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ხახული; 2. ჩედერი; 3. რასპე; 5. თუჯი; 6. ხვიფლი; 8. ქიზიყი; 11. სტიპლჩეზი; 13. სპეტაკი; 14. სოკრატე; 15. ხილნარი; 19. დუყი.

**თარაზულად**: 1. ხელვაჩაური; 4. „თავთუხი"; 7. ხავერდი; 9. პუდინგი; 10. ისტრი; 12. ელინისტი; 16. უილიამსი; 17. ბედლამი; 18. კროსვორდი; 20. ზოფხიტო; 21. კილი; 22. „გარდიანი".

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ონიქსი; 2. ონაგატა; 3. არეოპაგი; 4. კლაიპედა; 8. მონასტერი; 9. სტივიდორი; 11. შეიკერი; 12. იენი; 14. „ორლი"; 16. კოლექცია; 17. მეტონიძე; 19. ფროიდი; 24. „ნოკია".

**თარაზულად**: 5. პრობაცია; 6. ჯარგვალი; 7. „პასტორალი"; 10. ტაბორი; 13. „ილიადა"; 15. სნუკერი; 18. გოგენი; 20. „ბერეტა"; 22. პროვიზორი; 23. ბილფელდი; 24. ჭიჭინაძე.

# გიგი გაჩეჩილაძე ცოლს ირთავს



14 ივლისს პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ქორეოგრაფი გიგი გაჩეჩილაძე ცოლს ირთავს. მისი რჩეული 19 წლის ანანო ჯოხაძეა.

წყვილის ქორწილი 14 ივლისს გაიმართება. მათ მოსაწვევები უკვე გაუგზავნეს იმ სტუმრებს, ვინც მათი გაბედნიერების მომსწრე გახდება.

გიგის და ანანოს ქორწილის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში გიგის ნათესავმა მეკო კვაჭანტირაძემ გაავრცელა და მოსაწვევის ფოტოც ატვირთა.

გიგი და ანანო მას შემდეგ დაახლოვდნენ, რაც სალომე ჭაჭუას და გიგი გაჩეჩილაძის რამდენიმეწლიანი ურთიერთობა დასრულდა. გიგი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ზაფხული მისი საყვარელი სეზონია და ქორწილიც სწორედ ზაფხულში გაიმართებოდა.

# ნიკო გომელაური 46 წლის გახდებოდა



მსახიობი და პოეტი ნიკო გომელაური 46 წლის გახდებოდა. მისი დაბადების დღე ხელოვანის ოჯახის წევრებმა და გულშემატკივრებმა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ნიკოს საფლავზე შეკრებით აღნიშნეს.

ეს ერთგვარი ტრადიციაა, ნიკოს დაბადების და გარდაცვალების დღეს დიდუბის პანთეონში რიგითი მკითხველები იკრიბებიან და კითხულობენ ნიკოს ლექსებს და ნიკოსთვის დაწერილ ლექსებს. ამ ტრადიციულ შეკრებას არასდროს აკლდება მსახიობის მეუღლე ნინა ჩოდრიშვილი.

ერთ-ერთ ინტერვიუში ნიკო გომელაურმა განაცხადა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ქვეყანაზე ბოროტებისთვის კი არა, სიყვარულისთვის ვართ გაჩენილები. ნამდვილი გრძნობით ნათქვამი „მიყვარხარ“ არასოდეს გაუფასურდება.

# სამგლოვიარო განცხადებები

უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარების გრძნობით ვუსამძიმრებთ და თანაგრძნობას ვუცხადებთ პროფესორ კახა ქეცბაიას უსაყვარლესი უმცროსი ძმის

**ზაზა ქეცბაიას**

მოულოდნელი გარდაცვალების გამო.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

**ირაკლი კალანდია, კოკა კუტუბიძე, რეზო გოგოხია, ანზორ ბრეგაძე, კარლო ღურწკაია, ნუგზარ გადელია, მერაბ ჯიქია, თეიმურაზ მთიბელაშვილი, არსენ ბურჯალიანი, მიხეილ მახარაძე, ზურაბ ხასაია, ვაჟა ნიბლაძე, ალექსანდრე ალადაშვილი**

თანაკლასელები გაუსაძლისი გულისტკივილით იუწყებიან ბავშვობიდანვე სიკეთით სავსე თანაკლასელის, ლამაზი სულის პატრონის, ყველასათვის საყვარელი მეგობრის

**ზაზა ქეცბაიას**

ტრაგიკულად დაღუპვას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს და ახლობლებს.

ჩვენი საყვარელი ზაზა თავისივე საბედისწერო ნებასურვილით მარადისობას ეზიარა, ჩვენ კი დაგვიტოვა დიდი ტკივილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უწმინდესი სული აწ და მარადის, ამინ!

მისი საყვრელი პედაგოგები: ნარგიზა კვეკვესკირი, ნანული ზარია

**თანაკლასელების სახელით: ეკა ქარდავა, მანონი ნანავა, ლალი სათალანძე, ზვიად კვეკვესკირი, ლევან ბასარია, ლაშა პერტაია, ზაზა ზაქარაია, ეკა სებისკვერაძე, ელისო მზარელუა**

თანავუგრძნობთ კახა ქეცბაიას ძმის

**ზაზა ქეცბაიას**

გარდაცვალების გამო.
გულიკო ბალაძე, თენგიზ და გიგა დარბაიძეები

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ოპერის თეატრში ბუნტია



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო პროფესიული თეატრის გუნდის მსახიობებმა სპექტაკლებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

მათ განცხადება გაავრცელეს და აღნიშნეს, რომ 15 ივლისიდან, ვიდრე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით კინწურაშვილი არ დატოვებს თანამდებობას, ისინი არც ერთ სპექტაკლში მონაწილეობას არ აპირებენ.

# ზურაბ ყიფშიძე რკინის თეატრში გადავიდა




ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი ზურაბ ყიფშიძე რკინის თეატრში გადავიდა.

მსახიობმა რეჟისორ დავით ანდღულაძესთან ერთად იმუშავა სპექტაკლზე „ჩიტები“, რომელიც ალექსანდრე ქოქრაშვილის „მეზუნია ჩიტების“ მიხედვით დაიდგა.

რკინის თეატრში გადავიდა ნინელი ჭანკვეტაძეც. კინომსახიობთა თეატრის ამ ორ მსახიობთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობა მიიღეს დავით როინიშვილმა, ირაკლი სამუშიამ, ზაზა თაგოშვილმა და ნატო ესაკიამ. ამ სპექტაკლით 17 ივლისს ფოთის რეგიონული თეატრების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გაიხსნება.

# ანდრია გველესიანი საქართველოს „სლავიანსკი ბაზარზე“ წარადგენს



ბელორუსიაში სიმღერის საერთაშორისო კონკურსზე „სლავიანსკი ბაზარ 2016“ საქართველოს მსახიობი და მომღერალი ანდრია გველესიანი წარადგენს.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ დასრულებისთანავე ანდრიამ კონკურსისთვის აქტიური მზადება დაიწყო. მას კონკურსებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს. საქართველოს გარდა, ანდრია მონაწილეობდა უკრაინაში გამართულ „იქს ფაქტორშიც“, სადაც ჟიურის ოთხივე წევრი თავისი ვოკალური მონაცემებით მოხიბლა.

ამჯერად ანდრია ბელორუსში შეეცდება წარმატების მოპოვებას და საქართველოს ღირსეულად წარდგენას.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სპორტი

# ჟოაო მარიო შესაძლოა ინტერში გადავიდეს



სპორტინგის ლისაბონის შემტევი ნახევარმცველი ჟოაო მარიო შესაძლოა მალე მილანის ინტერში აღმოჩნდეს. ეს ინფორმაცია ფეხბურთელის მამამაც დაადასტურა, რომლის თქმითაც, მისმა შვილმა ჯერ არ იცის, თუ სად გააგრძელებს კარიერას. პორტუგალიამ ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ხოლო ჟოაო მარიომ ამ ტურნირზე თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა რის შემდეგაც მისი შეძენით ბევრი ევროპული გუნდი დაინტერესდა.

ინტერისთვის ჟოაო მარიოს ყიდვა ადვილი არ იქნება, რადგან სპორტინგი 50 მილიონ ევროს ითხოვს და უფრო ნაკლებად თავისი ფეხბურთელის გაშვებას არ აპირებს.

# არსენალი გონსალო იგუაინით დაინტერესდა



გონსალო იგუაინზე ნამდვილი ნადირობაა გამოცხადებული, რადგან მისი შეძენა ძალიან ბევრ ევროპულ გუნდს სურს. ამ კლუბებს ლონდონის არსენალიც შეემატა, რომელიც ნაპოლისთან აქტიური მოლაპარაკებების გამართვას აპირებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არსენალი მზად არის, სატრანსფერო თანხასთან ერთად ნაპოლის ოლივიე ჟირუც დაუთმოს და იტალიურ გუნდთან ერთგვარი გაცვლა მოახდინოს.

არსენალის გარდა, იგუაინის მიმართ სერიოზულ ინტერესს მადრიდის ატლეტიკოც იჩენს, ამიტომ ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს არგენტინელი ფორვარდი კარიერას.

# ვილიანი ჩელსიში კიდევ 4 წელიწადი ითამაშებს



ჩელსის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ვილიანმა ლონდონურ კლუბთან კონტრაქტი 4 წლით გაახანგრძლივა.

გასულ სეზონში ვილიანი ჩელსის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ამიტომ ჩელსი ყველანაირად ცდილობდა მის შენარჩუნებას. თვითონ ფეხბურთელიც არ იყო ამის წინააღმდეგი და მხარეებმა შეთანხმებას იოლად მიაღწიეს.

ვილიანი ჩელსიში 2013 წლის ზაფხულში გადავიდა და 140 შეხვედრაში 19 გოლის გატანა შეძლო.

ჩელსიმდე ბრაზილიელი შემტევი დონეცკის შახტარში ასპარეზობდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 14 ივლისი**

**07.30** დ/ფ **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 00.40** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "თოფ–გიარი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოება**" **19.00** "კომუნიკატორი" **20.50** "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.30** ტ/სერ. "**ბეითსების მოტელი**" **22.30** მხ/ფ "**მამაჩემის სახელით**" (დ.დეი ლუისი) **00.50** მხ/ფ "**ბობ რობერტსი**" **02.40** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **03.10** "ხანმოკლე XX საუკუნე"

**08.00, 12.00, 14.00, 19.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "ვენეცია" **11.00** დ/ფ "შტაინერების ოჯახი" **13.00** დ/ფ "მუსორგსკი-სურათები გამოფენიდან" **18.00** დ/ფ "წელიწადის დრონის ფენომენი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **22.00** დ/ფ "სონია რაკელი" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ "**სოლისტი**"

**05.00** სერ. "**დახურული სკოლა**" **06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **9** სერ. **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**მეტი" ვიდრე სექსი**" **02.05** მხ/ფ "**ნეტარების ჟამი**" **03.45** მხ/ფ "**ქარიშხლის მაცნეები**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "ვარსკვლავური ომები" - მეამბოხეები **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 3.55** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **0.00** სერ. "**საშინელი ზღაპრები**" **1.30** მხ/ფ "**სახელმწიფოს მტერი**"

**06.15** სჯანი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა "ზეთის ხილის ხე" **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**მთვარის მოტაცება**" **2 13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ბეგონია" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ან/ფ **16.50** დ/ფ "მესაზღვრე ბერები" **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.40** ძილი ნებისა "ლომი და მელია" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** დ/ფ **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დიდ ხარ შენ უფალო **00.25** ისტორიის დღიური **01.25** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქალთა ექიმი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** "კონტაქტი" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ზოგადი თერაპია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ქალბატონი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**სტანიცა**" **23.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**14 ივლისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3393

ევრო — 2.5802

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0128

100 რუსული რუბლი — 3.6412

## ამინდის პროგნოზი 14 ივლისისთვის





**12 ივლისიდან**

ბოლესლავ პრუსი

ფარაონი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი






**15 ივლისიდან**

ანტუან დე სენტ ეგზიუპერი

სამხედრო მფრინავი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი






**13 ივლისიდან**

ორჰან ფამუქი

მდუმარე სახლი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი






**14 ივლისიდან**

პაულო კოელიო

თერთმეტი წუთი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი





## იუმორი



პატრული მანქანას აჩერებს. საჭესთან ქერათმიანი გოგონა ზის. პოლიციელი მას მიმართავს:

– გოგონი, თქვენ რა, საგზაო ნიშნებს ვერ არჩევთ?

– რა მოხდა?

– აქ ცალმხრივი მოძრაობაა!

– აბა, მე რა, ორმხრივად დავდივარ?

●●●

გოგონა მართვის მოწმობის ასაღებად გამოცდას აბარებს. გამომცდელი ეუბნება:

– გოგონი, გადადით მანქანიდან, თქვენ გამოცდა ვერ ჩააბარეთ.

– კი მაგრამ, მე ხომ მანქანა ადგილიდანაც კი არ დამიძრავს?!

– ვერც დაძრავთ, თქვენ უკანა სავარძელზე ზიხართ!

●●●

ახალგაზრდა გოგონა ავტობუსიდან ჩამოდის და ცალი მკერდი უჩანს. იქვე მდგომი პოლიციელი მიმართავს:

– გოგონი, საზოგადოებრივ ადგილას ასე სიარული არ შეიძლება, მკერდი დამალეთ!

– ვაიმე, ბავშვი ავტობუსში დამრჩა!!!

●●●

– რატომ შექმნა ღმერთმა ჯერ კაცი და მერე ქალი?

– იმიტომ, რომ არ უნდოდა, რომ მამაკაცის შექმნის დროს ქალს თავისი გაუთავებელი რჩევებით მისთვის ტვინი გაებურღა.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ნამდვილმა მამაკაცმა კვირაში ერთი ღამე მაინც არ უნდა გაათენოს სახლში.

– მართალია! რათა სხვა ნამდვილმა მამაკაცმა გაათენოს ერთი ღამე.

●●●

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედა, ნაყინი უფრო სასარგებლოა, ვიდრე სოსისი?

– ახლა, შვილო, მოწევაც კი უფრო სასარგებლოა, ვიდრე სოსისი!

●●●

ორი მთიელი ტაქსს გააჩერებს და ერთმანეთს დასცხებენ, არა მე უნდა დავჯდე წინ, არა მეო. ტაქსისტმა უყურა, უყურა და ბოლოს ეუბნება:

– ორივე უკან დაჯექით და „ზადნით“ ვივილი.

●●●

ოსს მეგობრები გააბრაზებენ, თვალებს დახუჭავს და ეუბნება:

– ეგე, იყავით ახლა სიბნელეში!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბარსელონამ კიდევ ერთი ფრანგი მცველი იყიდა




ბარსელონამ წლევანდელ ზაფხულს უკვე მეორე ფრანგი ფეხბურთელი შეიძინა. სამუელ უმტიტის, რომელიც ბარსაში ლიონიდან გადავიდა, პსჟ-ს ახალგაზრდა მცველი ლუკა დინი დაემატა. ლუკა ბოლო სეზონში იჯარის სახით იტალიურ რომაში თამაშობდა, თუმცა იტალიელებმა მისი გამოსყიდვა არ მოისურვეს. დინი პსჟ-ში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ბარსელონამ მის მიმართ ინტერესი გამოიჩინა და ლუკა კატალონიურ გუნდში აღმოჩნდა.

ბარსელონამ ამ ტრანსფერში 16 მილიონი ევრო გადაიხადა, ფრანგი ფეხბურთელი კი 5 წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

## ჩელსი ნგოლო კანტეს შეძენას ცდილობს




ჩელსი აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებას ლესტერთან ნგოლო კანტეს თაობაზე, რომლის შეძენაც ჩელსის ერთ-ერთი მთავარი სატრანსფერო მიზანია.

ლონდონური კლუბი მზად არის, ამ ტრანსფერში 35 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა ლესტერი თავისი ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის იოლად დათმობას არ აპირებს. ლესტერმა შესაძლოა უფრო დიდი თანხა მოითხოვოს, თუმცა ბევრი რამ თვითონ ფეხბურთელის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

თუ კანტე ჩელსიში გადასვლას მოისურვებს, ლესტერს მისი შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება.

კანტე გასული სეზონი ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა და ლესტერის გაჩემპიონებაში დიდი წვლილი შეიტანა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავები გამოვლინდნენ



ამერიკელი მომღერალი ტეილორ სვიფტი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავების რეიტინგს ჩაუდგა სათავეში, რომელიც ფორბსმა შეადგინა. გამოცემამ მისი შემოსავლები 12 თვის მანძილზე 170 მილიონ დოლარად შეაფასა.

მეორე ადგილზე გავიდა ჯგუფი One Direqtion, რომელმაც ანალოგიურ პერიოდში 110 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. მესამე ადგილზე კი აღმოჩნდა მწერალი ჯეიმს პატერსონი, რომლის შემოსავალმა 95 მილიონი შეადგინა.

მეოთხე ადგილი გაინაწილეს მადრიდის „რეალისა“ და პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელმა კრიშტიანუ რონალდუმ და ფსიქოლოგმა ფილ მაკგროუმ. ორივეს შემოსავალმა ფორბსის გამოთვლით 88 მილიონი დოლარი შეადგინა. მათ გარდა ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავების პირველ ათეულში ასევე შევიდნენ კომიკოსი კევინ ჰარტი (87,5 მილიონი დოლარი), ტელეწამყვანი ჰოვარდ სტერნი (85 მილიონი), ფეხბურთელი ლიონელ მესი (81,5 მილიონი), მომღერალი ადელი (80,5 მილიონი) და რადიოწამყვანი რაშ ლიმბო (79 მილიონი).

## ბრიტანელმა 500 კილოგრამიანი შტანგა აწია



პაუერლიფტინგში შეჯიბრის მონაწილემ, ბრიტანელმა ედი ჰოლმა 500 კილოგრამიანი შტანგის აწევა მოახერხა. ამრიგად, ბრიტანელი სპორტსმენი სპორტის ამ სახეობაში პირველი ადამიანია, რომელმაც ასეთ დატვირთვას გაუძლო.

ჰოლმა რეკორდის ამსახველი ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა, რომელიც ერთ დღეში 285 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ქართველ პოეტ ნიკო რაზიკაშვილის ფსევდონიმი; 2. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 3. ხორვატიის ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური; 5. ინდონეზიის კუნძული ინდოეთის ოკეანეში, პოპულარული საკურორტო ზონა; 6. კუთხე საქართველოში; 8. წითელი ფერის იტალიური ღვინო; 11. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდი; 14. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 15. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 19. ბრიტანული ლუდხანა.

**თარაზულად;** 1. ჩეხური ლუდი; 4. ნიკოტინის შემცველი ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე; 7. აეროპორტი რომში; 9. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 10. თვალის ფერადი გარსი; 12. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 16. სადაო საკითხის საჯარო განხილვა, კამათი; 17. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 18. ცნობილი დანიელი კარიკატურისტი; 20. ძველებური, სახელურიანი, დასაკეცი სათვალე; 21. ერთგულების მტკიცე პირობა; 22. აქტიური დაცვის სისტემა სპორტულ თამაშებში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**


ლურჯი წითელი ყვითელი შავი